საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 61 (340) ● ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1992 წელი ● ფასი 1 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

რატომ გვიქნევს ბაბურინი მუშტებს?

გუშინ ასეთი დეპეშა მოვიდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელზე:

„დაბეჯითებით მოვითხოვთ მტკიცე ღონისძიებანი განახორციელოთ აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შესაძლო პროვოკაციების აღსაკვეთად.

ჩვენ ვეცდებით, რომ პრეზიდენტმა ელცინმა, უზენაესმა საბჭომ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთავარსარდალმა დაუყოვნებელ ზომებს მიმართონ სტაბილური ვითარების უზრუნველსაყოფად".

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს „როსიას" ფრაქციის კოორდინატორი ბაბურინი.

აი, ასე!

მუშტი დაჰკრა ბაბურინმა ცენტრში, მგონი, სერგეიმ და ჩვენ აქ უნდა ავკანკალდეთ, პერიფერიაში: — აგერ, გვერდით გადავალ, იმათ ვეტყვი, ვისაც საჭიროა, რაც საჭიროა, და თუ მოსალოდნელ პროვოკაციებს არ აღკვეთავთ, საკუთარ თავს დააბრალეთ, რაც დაუყოვნებლივ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დაგემართებათ.

ერთი შეშინება ხომ შეგვეშინდა. ცოტა დავმშვიდდეთ და გავარკვიოთ, საიდან იწერება ეს კაცი ამ ულტიმატუმს? იმ ქვეყნიდან — მიცვალებული საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან (იხილეთ დეპეშის ტექსტი). ნამდვილად იმ ქვეყნიდანაა, რადგან საიქიოდან სულთა და სახელთა გამოძახების მაესტროს თუ შეუძლია წინასწარმეტყველება ასეთი რანგის: აღკვეთეთ ის, რაც არ მომხდარა, რადგან მოხდება და აღკვეთეთ. იცის ბაბურინმა და... ჩუმაკმა, წყალს რომ მუხტავს, იმან.

მე არ ვიცი!

არც ის ვიცი, თანამეგობრობას მთავარსარდალი რომ ჩასდგომია სათავეში (იხილეთ დეპეშის ტექსტში). ჩვენ პროვინციაში აქამდე გვეგონა, რომ შაპოშნიკოვი შეიარაღებულ ძალებს სარდლობდა მხოლოდ.

თუ უკვე მოხდა სამხედრო გადატრიალება? და ახლა ჩვენი რიგია?

მივხედავთ, ამხანაგო ბაბურინ, ჩვენ თვითონ ჩვენს საქმეს რამენაირად.

აფხაზეთში მარტივი მდგომარეობა რომ არ არის, ყველა კოორდინატორზე უკეთ იციან საქართველოში, და არა მარტო იციან, არამედ სრულიად კონკრეტულ, პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ კიდეც ვითარების მოსაგვარებლად: მიმდინარეობს კონსტრუქციული დიალოგი; აფხაზეთის დელეგაცია ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა, შეხვდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, სხვა ხელმძღვანელებს; აფხაზეთის უზენაეს საბჭოში იყვნენ რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლები.

შედეგად: აღდგა ავტოტრანსპორტის მოძრაობა მთავარ მაგისტრალზე. გაიხსნა რკინიგზა — პირველი მატარებელი წავიდა თბილისიდან მოსკოვს.

კოორდინატორს კი პროვოკაციები ეჩვენება. თუ სურს? ასე იყო ყოველთვის: ყველა დროის პოლიტიკურ დემაგოგს თუ თანამედროვე პოლიტრეკეტიორს ერთი მიზანი ამოძრავებდა და ამოძრავებს: ამღვრეულ წყალში დიდი ღლავის დაჭერა... სათავისოდ! თევზი ახლა კარგად ფასობს.

მოდით, აქ შევჩერდეთ, რადგან ყველამ კარგად უწყის, რა შუბსაც მალავს მატადორის წითელ წამოსასხამში ბაბურინი: ქართველებისთვისაც და აფხაზებისთვისაც.

ეს ხომ მეც და თქვენც ვიცით, ჩემო აფხაზო ძმებო!

ა. ბალთიძე.

P.S. იქნებ არც ღირდა საგაზეთო ფართობის ფლანგვად ამ ახირებული კაცის დეპეშა? მარტო მისი პოზიცია რომ იყოს, ნამდვილად არ ღირდა. მაგრამ როდესაც რუსეთის პარლამენტის ფრაქციის სახელით გველაპარაკებიან, ეს არა მარტო დამაფიქრებელია, არამედ საგანგაშოც.

ხომ არ იღებს ზედმეტს თავის თავზე ბატონი ბაბურინი, როდესაც თავის ხელმოწერას ოფიციალური ტიტულებით ადებს ფასს? არც ესაა გამორიცხული.

ა. ბ.

დროა პრაქტიკულად დავიწყოთ ნამდვილი სახალხო მოძრაობა ქართული სოფლის ასაღორძინებლად!

ეს ჩვენი საქართველოა!

მომავლის ხნული.

ვარლამ ბენბიურის ფოტო.

საქართველოს ძლიერების ძირი სოფელია!

მიწის რეფორმა მექანიზაციის დონის აუმაღლებლად უშედეგო იქნება, აუცილებელია ამ რეფორმის მცირე ტექნიკით უზრუნველყოფა. ეს იდეა საერთო თანადგომასა და მხარდაჭერას იმსახურებს

სამოქალაქო მოძრაობის „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს" წინადადებამ — საჭირო ტექნიკით სოფლის უზრუნველყოფის პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული მოქმედების დაწყების თაობაზე დიდი მხარდაჭერა პოვა. სწორედ ამის გამოხატულებაა ეს წერილი, რომელსაც ხელს აწერს ამ პრობლემასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული თითქმის ყველა რგოლი. სასიამოვნოა, რომ იკვეთება მეცნიერ-კონსტრუქტორის, მწარმოებლისა და მომხმარებლის ერთიანობის განწყობილება. კარგია, რომ ამ საქმისადმი ასეთ ინტერესს იჩენენ კომერციული სტრუქტურები, არასახელმწიფოებრივი სექტორის წარმომადგენლები. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ რთული პრობლემის ერთი ხელის დაკვრით ან ერთ და ორ დღეში გადაწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ მისასალმებელია, რომ ჩანს უწყებრივი ბარიერების გადალახვის და, რაც მთავარია, ლაპარაკიდან საქმეზე გადასვლის სურვილი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. გვწამს, რომ იწყება კარგი საქმე, რომელიც მხოლოდ თანადგომასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

საქართველოში დაიწყო ისტორიული პროცესი — მიწის რეფორმა. პირველ ეტაპზე მოხდება სოფლის მოსახლეობისთვის საკარმიდამო მიწის ფართობის ორჯერ და მეტად მომატება, კერძო საკუთრებაში მისი უსასყიდლოდ გადაცემა, მიწას მიიღებს აგრეთვე ქალაქად მცხოვრები და ახდება ასობით ადამიანის ოცნება.

სადავო არ არის, რომ მიწის რეფორმა, მიწის პირად საკუთრებაში გადაცემა, სოფლის მცირე ტექნიკით უზრუნველყოფის, შრომის ტექნიკური შეიარაღებისა და მექანიზაციის დონის აუმაღლებლად უშედეგო იქნება. არ მოგვცემს შესაბამის ეფექტს ჩვენი ქვეყნის უდიდესი აგრობიოლოგიური პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით. ეს კი რთული და მძიმე პრობლემაა და მისი გადაჭრა საერთო ძალისხმევის, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო კომპლექსური პროგრამის გარეშე შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, უპირველესად საჭიროა ვიცოდეთ, რა გვაქვს, როგორი ვართ უზრუნველყოფილი მცირე ტექნიკით და რას ვაწარმოებთ. უნდა გვქონდეს იმის პროგნოზი, რა დაგვჭირდება მიწის რეფორმის პროცესის პარალელურად; კარგად წარმოვიდგინოთ, რას შევძლებთ საკუთარი ძალებით, როგორც მეცნიერული, ასევე საწარმოო პოტენციალის თვალსაზრისით, რაში დაგვჭირდება საზღვარგარეთის დახმარება, საერთოდ, რა უფრო ეფექტიანია ამ ეტაპზე — გარედან მცირე ტექნიკისა და მასთან ერთად სპეცდანიშნულების ტექნიკური საშუალებების შემოტანა, თუ მათი წარმოების პროგრესული ტექნოლოგიის მოზიდვა?

ჩვენი მოქმედების მთავარი ორიენტირი რესპუბლიკაში არსებული სამრეწველო, სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური და საკადრო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება უნდა იყოს. ამასთან სამომავლოდ ბევრია დამოკიდებული იმ სამრეწველო საწარმოებზე და საკონსტრუქტორო ბიუროებზე, რომლებიც დღეს მცირე მექანიზაციის პრობლემებზე მუშაობენ და სოფლისათვის საჭირო ტექნიკას უშვებენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმეში პრაქტიკულად ჩაებმებიან ის საწარმოები, რომლებსაც ცენტრალური დაქვემდებარების მოშლის პირობებში გამოუნთავისუფლდათ საწარმოო სიმძლავრეები, სოფელი განსაკუთრებულ მხარდაჭერას უნდა ელოდებოდეს ყოფილი თავდაცვის სამინისტროს საწარმოებისგან, მათი კონვერსიის გამო. უდავოდ დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ აგრეთვე სხვადასხვა სახის კომერციულ სტრუქტურებს — კერძო ფირმებს, ერთობლივ საწარმოებს; კოოპერატივებს, ბირჟებს, კარგად უნდა შევისწავლოთ ცალკეულ პირთა მიერ ინდივიდუალურად დამზადებული და მოქმედი ტექნიკა, მათი მასობრივი წარმოებისთვის უდავოდ დიდი ყურადღებაა საჭირო სამეცნიერო დაწესებულებაში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, თუ ცალკეულ სპეციალისტთა სახელოსნოებში არსებული მოდელებისა და გამოგონებებისადმი.

სოფლისთვის ბევრი სიკეთის გაკეთება შეუძლიათ მძლავრ სამრეწველო ცენტრებს — თბილისს, ქუთაისს, რუსთავს. ქუთაისი თავისი სამრეწველო, სამეცნიერო და საკადრო პოტენციალით და, რაც უპირველესია, ძირითადად საწარმოთა პროფილით სოფლისათვის საჭირო მცირე ტექნიკის წარმოების მთავარი პლაცდარმი შეიძლება გახდეს.

ვითვალისწინებთ რა პრობლემის სირთულეს — ამ ეტაპისთვის უპირველესად მიგვაჩნია სასოფლო ტექნიკის პროფილის ყველა რგოლის მუშაობის კოორდინაცია, დაქსაქსული ძალების გაერთიანება, უწყებრივი მიდგომისა და ბარიერების გადალახვა, ფუნდამენტური სახელმწიფო პროგრამის მომზადება, რომელსაც მთავრობის დონეზე განიხილავენ და მიიღებენ.

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად ვთვლით, მიწის რეფორმიდან გამომდინარე ტექნიკით სოფლის უზრუნველყოფის პრობლემას მიეძღვნას სამუშაო შეხვედრა ყველა დაინტერესებული სამინისტროსა და უწყების, სამეცნიერო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელთა, აგრეთვე სპეციალისტთა მონაწილეობით გაიმართოს იგი მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში.

სასურველია, განცხადება სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის თაობაზე, პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული, კონკრეტული მოსაზრება გაიგზავნოს ამ წერილის ხელმომწერთა მისამართით ან მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში. აქ ყოველდღე, 14 საათიდან 18 საათამდე, იმუშავებს საორგანიზაციო კომიტეტი.

დარწმუნებული ვართ, კარგ შედეგს მოგვცემს, თუ მცირე ტექნიკით სოფლის უზრუნველყოფის პრობლემის გამო პრაქტიკული ხასიათის დისკუსიები გაიმართება პრესის ფურცლებზე, აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

საქართველოს ძლიერება, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უმთავრესი გარანტია სოფელი. დროა პრაქტიკულად დავიწყოთ ნამდვილი სახალხო მოძრაობა მისი ასაღორძინებლად.

გივი სანაძე — მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; **ვალერიან მეტრეველი** — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; **ივერი ფრანგიშვილი** — საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი; **ირაკლი ჟორდანია** — მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი, **ომარ ვარძელაშვილი** — ეკონომიკის მინისტრი, **ვაჟა ჯინჯიხაძე** — ფინანსთა მინისტრი, **ბესარიონ ჯუღელი** — მრეწველობის მინისტრი, **რობერტ ბესელია** — სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, **ლევან თოფურია** — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მინისტრი, **პაატა კოღუაშვილი** — მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, **ნოდარ კაკულია** — საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, **გივი მინდელი** — საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე, **მურთაზ ზანქალიანი, დავით კეკენაძე, თემურ მირიანაშვილი, ბონდო ზარნაძე** — არასახელმწიფოებრივი სექტორის ორგანიზაციათა სათათბიროს პრეზიდიუმის სახელით, **ამირან ქადაგიშვილი** — სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟის" პრეზიდენტი, **ოთარ თოხაძე** — ივერთბანკის გამგეობის თავმჯდომარე, **თამაზ შილაკაძე** — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე; **სერგო რუხაძე** — აგრარული კავშირის თავმჯდომარე, **ალექსანდრე ჯავახიშვილი** — სამოქალაქო მოძრაობის „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე, **თეიმურაზ შაშიაშვილი** — სამოქალაქო მოძრაობის „დდს" კოორდინატორი.

ამ დღეებში

[illegible]

„საქართველოს რესპუბლიკის"

და [illegible]

[illegible]

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში

ერთიანი შეიარაღებული ძალები გვეყოლება!

11 აპრილს გამართული საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში პირველ პუნქტად შეტანილი იყო რესპუბლიკაში სამხედრო მშენებლობის საკითხი. ეს პრობლემა ფრიად მნიშვნელოვანია, რამეთუ ახლო მომავალში საქართველომ, ისევე როგორც ნებისმიერმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თვითონ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო საზღვრების, თავისი შეუვალობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ლევან შარაშენიძემ. მან განსახილველად წარმოადგინა დოკუმენტების პაკეტი, რომლებიც განსაზღვრავს რესპუბლიკაში სამხედრო საქმის განვითარების საფუძვლებს, ჩამოაყალიბა საქართველოს რეგულარული არმიის მართვის სტრუქტურებისა და პირველი ნაწილების შექმნის წინადადებანი. როგორც მან განაცხადა, ამ ბოლო დროს თავდაცვის სამინისტრომ საკმაო მუშაობა გასწია ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის რეალიზაციასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად. რეგულარული მართვის არმიის აპარატისა და მისი ნაწილების დაკომპლექტების მიზნით სამსახურში მოწვეული არიან ქართული ენის მცოდნე თადარიგის ოფიცრები, აგრეთვე ქართველი ოფიცრები, რომლებიც სამსახურს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯარებში გადიან. აქტიურად მუშაობს საატესტაციო კომისია, რომელიც აწარმოებს მეთაურთა შემადგენლობის კადრების შერჩევას. გათვალისწინებულია აქ მოვიწვიოთ საქართველოს მოქალაქეებიც, რომლებმაც წელს დაამთავრეს სამხედრო სასწავლებლები. გამორიცხული არ არის აგრეთვე ინსტრუქტორებად და მრჩევლებად რუსეთის ჯარების ოფიცრებისა და გენერლების მოწვევა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება, ჭაბუკების გაგზავნა უმაღლესი სამხედრო განათლების მისაღებად სხვა სახელმწიფოთა შესაბამის სასწავლებლებში.

საკითხის განხილვის დროს გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება მომავალი არმიის რიცხოვნობის, მისი ხასიათის, სამსახურის გავლის ვადების, პირადი შემადგენლობის სწავლების ორგანიზაციის, გაწვევის მოწყობის, შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ.

სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად გადაწყვეტილია შეიქმნას საქართველოს ერთიანი შეიარაღებული ძალები და დაექვემდებაროს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს. ამჟამად არსებული მთელი შეიარაღებული ძალები (ფორმირებანი, დაჯგუფებანი, რაზმები, გუნდები) გადაწყვეტილია შეიყვანონ სამინისტროს სტრუქტურებში. ამ უწყებას დაევალა შეიმუშაოს სარეზერვო ფორმირებებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათი განლაგების სისტემა. მიღებულია დეკრეტი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულთა გაწვევის შესახებ.

სამანდატო კომისიის წარდგინებით სახელმწიფო საბჭომ თავის შემადგენლობაში შეიყვანა ახალი წევრები.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

ედუარდ ედიბერიძე,
თენგიზ ნიკოლაიშვილი,

ტელეტაიპის ლენტიდან

ამერიკელი სამხედროები საქართველოში

თბილისში საქმიან ვიზიტად იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოლკოვნიკი მაიკლ ჯ. ოგრეიდი და ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს სამხედრო-საზღვაო ატაშეს თანაშემწე, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის პოდპოლკოვნიკი ჯ. ბოკმანი. მაიკლ ოგრეიდი ერთი თვის წინათ სტუმრად იყო საქართველოს დედაქალაქში ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს სამხედრო ატაშესთან პოლკოვნიკ ჯონ რეპერტთან ერთად.

ამერიკელი სამხედროები მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ლევან შარაშენიძემ და რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსმა, გვარდიის პოლკოვნიკმა ავთანდილ ცქიტიშვილმა.

სტუმრები ეწვივნენ დასავლეთ საქართველოს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

გამონაბოლქვის „ხაფანგი"

საამქროებში მავნე გამონაბოლქვის სანეიტრალიზაციოდ განკუთვნილი ორიგინალური დანადგარი შექმნეს შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა.

დღემდე არსებულთაგან იგი გაწმენდის დახშული ციკლით გამოირჩევა. „ხაფანგში" მოხვედრისას გაზი მეჟანგავის ზემოქმედებით განიცდის ქიმიურ რეაქციას და ხდება მისი ნეიტრალიზაცია. ამ შემთხვევაში ატმოსფეროს თუნდაც ნაწილობრივი მეორეული გაჭუჭყიანებაც კი გამორიცხულია.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ერთ სისტემას შეიძლება მიუერთონ ორმოცამდე ჩარხი. ამ ნამუშევრით სხვა რესპუბლიკებიც დაინტერესდნენ.

შეიქმნა პუშკინის საზოგადოება

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა პუშკინის საზოგადოება. ეს საზოგადოება გააერთიანებს რუსული კულტურის ყველა მოყვარულს არა მხოლოდ ინსტიტუტის ფარგლებში. არამედ კულტურის ნებისმიერ სფეროდან.

საზოგადოების ზოგადი პრინციპები იქნება: კულტურათა ურთიერთპატივისცემა იხსნის ხალხებს; ეროვნული კულტურა ეროვნულია არა მხოლოდ თავისი ფორმით, არამედ უპირველესად თავისი არსით, ხოლო კულტურათა კავშირი გულისხმობს ურთიერთცოდნას, ურთიერთგაგებას და ურთიერთპატივისცემას.

პუშკინის საზოგადოება გააგრძელებს იმ ინტერესებს, რომლებიც საქართველოში ოდითგანვე იყო უცხოურ კულტურათა მიმართ და გულისხმობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას რუსეთში და რუსულისა — საქართველოში.

პუშკინის საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი რევაზ სირაძე.

ტელეტაიპის ლენტიდან

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობა

18 და 14 აპრილს მთელ რესპუბლიკაში, მათ შორის დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, სიმშვიდე იყო. სამტრედიის, აბაშის, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, გორისა და რუსთავის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან გვაცნობებს, რომ დღე-ღამის განმავლობაში რაიმე ექსცესი არ მომხდარა.

გორის შინაგან საქმეთა სამმართველომ გვაცნობა აგრეთვე, რომ სრული სიყალბეა ტელეკომპანია „ოსტანკინოს" საინფორმაციო პროგრამა „ნოვოსტის" 18 და 14 აპრილის ცნობა, თითქოს ქართველი „ბოევიკები" გამუდმებით ესხმიან თავს ცხინვალს და იქ განლაგებული რუსეთის შინაგანი ჯარის საგუშაგოს და მშვიდობიან მოსახლეობაში იყოს მსხვერპლი.

არც ცხინვალს, არც შინაგანი ჯარის საგუშაგოს თავს არავინ დასხმია. ამას ადასტურებს თვითონ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა. რაც შეეხება მსხვერპლს, ნამდვილად იყო, ოღონდ ქართველი მოსახლეობის მხრიდან. ამ კვირაში გორის რაიონის სოფელ ნიქოზზე და ვანათზე ოსი ექსტრემისტების შეიარაღებული თავდასხმის დროს 4 კაცი დაიღუპა.

სამხედრო კომენდანტის ცნობა

როგორც თბილისის სამხედრო კომენდანტის პრესსამსახური გვატყობინებს, 18 აპრილს ქალაქში შედარებითი სიმშვიდე იყო. შინაგან საქმეთა მთაწმინდის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა მელიქიშვილის ქუჩაზე დააკავეს ორი დამნაშავე, რომლებიც ცივი იარაღის მუქარით ცდილობდნენ გამვლელისთვის ქურთუკი გაეხადათ. დააკავეს აგრეთვე სამი დამნაშავე, რომლებიც შეიჭრნენ ქალაქის ერთ-ერთ კლინიკურ საავადმყოფოში. ისინი დაემუქრნენ ქირურგიული განყოფილების მუშაკებს და ცდილობდნენ ნარკოტიკშემცველი პრეპარატების წაღებას. ქალაქის კრწანისის რაიონში ჩხრეკის დროს სტუდენტს ამოუჩინეს 18 გრამი მარიხუანა.

18 აპრილს ღამით კომენდანტის საათის დარღვევისთვის დაკავებულია 40 კაცი.

დედაენის ერთგულების ნიღბით

თავის მორიგ თავყრილობას ექს-პრეზიდენტის მომხრეებმა ამჯერად ურიად საპატიო მიზეზი მოუძებნეს. 14 აპრილი, დედაენის დაცვის დღე, რომელსაც მიეძღვნა მათი მიტინგი დედა ენის ძეგლთან, უდავოდ, აღსანიშნავი ღირსი თარიღია. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ მიტინგის მონაწილეებს, როგორც გამოირკვა, დიდად არ აწუხებთ ქართული ენის ბედი. ამ შეკრების უმთავრესი მიზანი, უწინარეს ყოვლისა, კვლავ და კვლავ ამჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვა და ყოფილი „კანონიერი" ხელისუფლების დაბრუნების მოთხოვნა იყო.

ერთი სიტყვით, პრეზიდენტყოფილის მომხრეებმა ერთხელ კიდევ „მოიოხეს გული" საქართველოს ხელისუფლებზე, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, კრიტიკით, და წავიდ-წამოვიდნენ. „მშობლიური ენისადმი მიძღვნილმა" ამ არცთუ ხალხმრავალმა ღონისძიებამ უექსცესოდ, მშვიდობიანად ჩაიარა. ერთი მძიმე ფიქრი კი დაგვიტოვა: ამგვარ „ჭეშმარიტებათა" საქადაგებლად იქნებ არ ღირდეს ისეთი თარიღების გაყალბება, როგორიცაა ჩვენი ხელშეუხები ძეგლის, ჩვენი სიამაყის — დედაენის დაცვის დღე?!

მაია ალუდაური.

რატომ ყოყმანობს გლეხი?

იმიტომ, რომ არა აქვს მცირე მექანიზაცია

უჭირს სოფელს, ქვეყანა დაიმშა ამ სიტყვის პირდაპირი და უმძიმესი გაგებით. სწორედ ამ ურთულეს სიტუაციაში, როგორც იქნა მივიღეთ დადგენილება მიწის პრივატიზაციის შესახებ. მაგრამ ამას ხალხში სასურველი სიხარული არ გამოუწვევია. ქართველი გლეხის ყოყმანის მიზეზი ის გახლავთ, რომ იგი მცირე მექანიზაციით სათანადოდ არ არის აღჭურვილი. რა უნდა მოვიმოქმედოთ? ამის შესახებ გვესაუბრება სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის „საქაგრომანქანის" დირექტორის მოადგილე, მთავარი ინჟინერი **კახა კოღუაშვილი.**

ახალ პირობებში ფერმერული მეურნეობების შექმნა საქართველოში სხვაზე მეტად პერსპექტიული ჩანს. ეჭვგარეშეა, რომ ახლო მომავალში მიწის პრივატიზაცია სწორედ ამას ხელს შეუწყობს. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ამგვარ მეურნეობათა შექმნა და განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება გადაწყვეტილი საყოველთაო დეფიციტის პირობებში მათი უზრუნველყოფის საკითხი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, ორგანული და მინერალური სასუქებით, კომბინირებული საკვებით, საცხებ-საწვავი მასალებით და სხვა.

ცნობილია, რომ ცენტრალიზებული წესით აღარ ვღებულობთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მათ შორის ძლიერ მობილურ ტექნიკას.

რესპუბლიკაში დაგვრჩა მხოლოდ მკვეთრად შემცირებული წარმოება მეჩაიეობისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მცირე მექანიზაციის საშუალებებისა ქარხანა „საქსოფლმანქანაში", ერთ ღერძიანი 5-7 ცხენის ძალის სიმძლავრის მოტობლოკისა და მისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო იარაღისა ქუთაისის მოტობლოკების ქარხანაში, აგრეთვე ბენზინის ძრავიანი მოტობლოკებისათვის ქარხანა „საქსოფლმანქანაში".

ამის მიზეზი ისიცაა, რომ 80-იან წლებში ეფექტიანად ვერ გამოვიყენეთ ათობით მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის.

მაშ როგორ გავაუმჯობესოთ შრომის ენერგოაღჭურვილობა აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით და როგორ შევამციროთ ხელით შრომის ხვედრითი წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში?

ძირითადი ამოცანა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში მჭიდროდ არის დაკავშირებული მცირე გაბარიტიანი ტექნიკის განვითარებასთან, რომელიც ხელით შრომის შემცირებისა და მიწის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ეს საკითხი გადაწყვეტილია: მაგალითად, ჯერ კიდევ 70-იან წლებში გერმანიაში ასეთ ტექნიკას აწარმოებდა და ყიდდა 16 ფირმა, ინგლისში — 20, იტალიაში მოტობლოკისა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის წარმოებით დასაქმებული იყო 100-მდე ფირმა. აშშ-ს 20-ზე მეტი ფირმა ამზადებს 100-მდე სხვადასხვა მოდიფიკაციის მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს.

საზღვარგარეთ მცირეგაბარიტიანი ტექნიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის ძირითადი საშუალებაა. განსაკუთრებით იქ, სადაც შეზღუდული მიწის რესურსები, მცირე კონტურიანობაა და რთული რელიეფია. ასეა იაპონიაში, იტალიაში, ინგლისში, კანადაში, გერმანიაში...

ბევრ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის განკუთვნილი კერძო ფერმერულ მეურნეობათა ფართობები მცირეკონტურიანია. იქ შეძლებულ ფერმერთა მიწის ნაკვეთები საშუალოდ 0,5-2 ჰექტარია.

70-იანი წლების დამლევს იაპონიაში იყო 4,9 მლნ ფერმერული და გლეხური მეურნეობა, სადაც იყენებდნენ 3,2 მლნ მოტობლოკს, ხოლო თითოეული ნაკვეთის საშუალო ფართობი აქ 0,5 ჰექტარს შეადგენდა.

მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და იარაღების წარმოებაზე იაპონიაში 12 ფირმა მუშაობს. განსაკუთრებით განვითარებულია საწარმოო კოოპერაცია. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართო გამოყენებით შესაძლებლობას იძლევა მკვეთრად შევამციროთ შრომის დანახარჯები, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის.

თუ ზემოაღნიშნულს გავაანალიზებთ, მაშინ შეგვიძლია საქართველოს სოფლის მეურნეობას მივცეთ შემდეგი რეკომენდაციები:

საოჯახო მეურნეობებისათვის უნდა გამოვიყენოთ 5-7 ცხენის ძალის სიმძლავრის ერთღერძიანი მოტობლოკი შესაბამისი საკიდი იარაღებითურთ.

საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში მიზანშეწონილია გამოვიყენოთ 0,2 წევითი კლასის დიზელის ძრავიანი ტრაქტორი; ხოლო მთიან ზონებში და მეჩაიეობის რეგიონებში — შესაბამისი სამთო და ჩაის მოდიფიკაციის ტრაქტორები.

საქართველოს მანქანათმშენებლებმა, ჩვენი აზრით, რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყონ მცირეგაბარიტიანი 0,2 წევითი კლასის ტრაქტორებისა და შესაბამისი მისაბმელი თუ საკიდი იარაღების წარმოება. ამით დავარწმუნებთ გლეხს აიღოს იმდენი მიწა, რამდენსაც ტექნიკის გამოყენებით დაამუშავებს.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგებში შეინიშნება ფართო კოოპერირებისა და წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების ტენდენციები. იტალიური ფირმა „გოლდონის" წარმოებით ურთიერთობებში, მაგალითად მონაწილეობს ათობით საწარმო, მცირე სახელოსნოები და ცალკეული კერძო პირები (კერძო მეწარმეები), რომლებსაც დიდი ტექნოლოგიური შესაძლებლობები არ გააჩნიათ, მაგრამ შეუძლიათ, ვთქვათ, ცალკეული დეტალების დამზადება ან თუნდაც რომელიმე ლითონმჭრელი ოპერაციის გაკეთება. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაიშალოს მუშაობა საქართველოშიც.

აქვე შეიძლება დაიბადოს კითხვა: კი მაგრამ ვინ მისცა ჩვენში კერძო პირს ლითონდამამუშავებელი ჩარხები? გიპასუხებთ: რაიონებიდან ქალაქში, ქარხნებში სამუშაოდ მშრომელთა მოზიდვას აჯობებს სოფელში ჩავუტანოთ ესა თუ ის ჩარხი, რომელიც ქალაქში უქმად დგას და იძარცვება. ალბათ, ძალიან ბევრი გამოჩნდება სოფლად ამ საქმის გაკეთების მსურველი. მათ უნდა ვასწავლოთ მუშაობა, ნამზადებითაც მოვამარაგოთ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათანადო საფასური თითოეულ დამზადებულ დეტალში გადავუხადოთ, და ბოლოს და ბოლოს ვაგრძნობინოთ მას, რომ ის კერძო მესაკუთრეა, თავისუფალი მეწარმეა და შეუძლია კოოპერაციით (ურთიერთხელსაყრელი პირობებით) ითანამშრომლოს დიდ საწარმოსთან. თუ ეს შეუძლია იტალიელს ან იაპონელ ფერმერს, რატომ ვერ უნდა შეძლოს ქართველმა გლეხმა, რომელიც შრომისუნარიანობით და გონიერებით არავის ჩამოუვარდება?

აუცილებელია დადგინდეს მაკომპლექტებელი მოწყობილობებისა და ნაწარმის ნუსხა, რომელთა შემოტანა აუცილებელი იქნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნებიდან. ეს პირველ რიგში შეეხება დიზელის ძრავებს, ელექტრომოწყობილობებს, ჰიდროაპარატურას, მზრელ და სხვა იარაღებს. რაც წარმოებული პროდუქციის კარგი ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია იქნება.

აქვე თავს უფლებას მივცემთ ჩვენი ვარაუდი გამოვთქვათ 5—7 აგრეთვე 12—14 ცხენისძალიანი დიზელის ძრავების წარმოებისათვის ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე თუნდაც ქარხანა „საქსოფლმანქანაში" არსებული ძრავების წარმოების სიმძლავრეთა ბაზაზე.

ეს იქნებ საკამათო საკითხიც იყოს, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ძრავებზე დიდი მოთხოვნილება იქნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საწარმოო-კოოპერაციული წარმოებითი ურთიერთობა განვითარებული ქვეყნების ფირმებთან. ცალკე უნდა განვიხილოთ ბარის, სამთო და ჩაის მოდიფიკაციის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების საკიდი და მისაბმელი იარაღების დამუშავება და წარმოება. მაგრამ ეს მარტო სპეციალისტების საქმე არ არის, უნდა დავეკითხოთ გლეხსაც, ამ ტექნიკის მომავალ მომხმარებელს, მასთან ერთად დავაზუსტოთ აუცილებელი საკიდი და მისაბმელი იარაღების ნუსხა, რომელთა წარმოება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს.

მთელი ამ საქმიანობისათვის თავის დასადგმელად აუცილებლად მიგვაჩნია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან შეიქმნას კომპეტენტური, გაფართოებული უფლებების მქონე კომისია, რომელიც ძირითადად კონსტრუქტორებით, ტექნოლოგებით, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით იქნება დაკომპლექტებული. კომისიის ძირითადი ფუნქციები უნდა იყოს: პირველი რიგის აუცილებელი საკიდი იარაღების ნომენკლატურისა და მათზე მოთხოვნის დადგენა; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების სიმძლავრეების ინვენტარიზაცია; დადგენილი ნომენკლატურის კონკრეტულ საწარმოებში განთავსება ფართო კოოპერაციის გათვალისწინებით. აუცილებელია ვიცოდეთ თითოეულ დეტალს თუ კვანძს, ვინ, სად და რა რაოდენობით დაამზადებს. კომისიამ შესაბამის საწარმოებთან ერთად უნდა დაადგინოს კონსტრუქციების დამუშავებისა და მათი წარმოებისათვის აუცილებელი დაფინანსების ოდენობა.

ფართო კრედიტების გამოყოფის გარეშე ამ სამუშაოების განხორციელება შეუძლებელი იქნება. კომისიამ უნდა მოამზადოს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს კონცეპტუალური დადგენილების პროექტი.

საუკეთესო შემთხვევაში, და იმ პირობით, თუ ყველა დაინტერესებული და მონაწილე ოპერატიულად და შეთანხმებულად იმუშავებს, ტრაქტორებისა და მათზე მისაბმელი ძირითადი იარაღების წარმოებას 3-5 წელიწადი მაინც დასჭირდება.

სოფლის მეურნეობას კი მოცდა აღარ შეუძლია. ამიტომ პირველ ხანებში აუცილებელი იქნება ამ ტექნიკის გარკვეული რაოდენობის შესყიდვა და შეღავათიანი პირობებით გლეხებისათვის მიყიდვა.

რა თქმა უნდა, კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებელია შეიქმნას ძლიერი კომპლექსური საგარანტიო სარემონტო მომსახურების ქსელი. აქ აუცილებელია კერძო სექტორის აქტიურობა, რომელსაც დიდი ხელშეწყობა დასჭირდება.

ცივილიზებულ სამყაროში კოოპერირების გაფართოება და სპეციალიზაციის გაღრმავება ემყარება თავისუფალ ვაჭრობას, ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებს და ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და მის მაღალ ხარისხს.

ამდენად, აუცილებელია გადაწყდეს საწარმოთა უწყვეტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხი, დაიდოს ეკონომიკური ხელშეკრულებები თანამეგობრობის ტრადიციულ პარტნიორებთან.

ყოველივე, რაზეც ვისაუბრეთ, დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს. ქართული სოფლის აღორძინება დღესვე უნდა დავიწყოთ.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ქალაქ თბილისის პირველი საშუალო სკოლის აღდგენის ფონდში.

> ძირითადი ამოცანა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში მჭიდროდ არის დაკავშირებული მცირე გაბარიტიანი ტექნიკის განვითარებასთან, რომელიც ხელით შრომის შემცირებისა და მიწის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

დანიშვნები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა:

თამაზ შალვას ძე მეფიაური — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსის პირველ მოადგილედ;

ვასილ დავითის ძე ხანიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილედ;

ნუგზარ ოთარის ძე ქავთარაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილედ;

ფრიდონ ვახტანგის ძე ლოლაძე — საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილედ;

მიხეილ პარმენის ძე ჩიქვილაძე — საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

ავთანდილ პროკოფის ძე იმნაძე — საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ;

ზურაბ გიორგის ძე დვალი — საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს დამტკიცება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მიღებულ იქნა **ჩხოროწყუს რაიონის** ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კ. გოგუას წინადადება და დამტკიცდა ჩხოროწყუს რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — გამგეობის შემადგენლობა: **გოგი სორდია** — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, **ალექსანდრე მიქაია, ენვერ მალანია, ნუგზარ ქებურია, ვაჟა გერსამია, ვიტალი წურწუმია** — გამგეობის წევრები.

კონსულტაცია

კანონი რომ სწორად სრულდებოდეს

მკითხველთა წერილებს უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამართველოს უფროსი ირინა ღლონტი

კითხვა: ვარ 35 წლის, 6 შვილის დედა, ბავშვების ასაკი ასეთია: 18, 11, 7, 5, 4 წლის, სულ პატარა ბიჭი 6 თვისაა. ბავშვებს დიდი ყურადღება სჭირდება და ამიტომ მე იძულებული გავხდი 7 წლის წინ თავი დამენებებინა სამსახურისათვის. მუშაობს მხოლოდ ჩემი მეუღლე, რომლის ხელფასი (მიუხედავად იმისა, რომ არც თუ მცირეა), მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ოჯახის მოთხოვნებს. უკვე ორი თვეა უფროს შვილებზე დახმარებებიც შეგვიწყვიტეს. 6 თვის ბავშვზე კი მეუღლის სამსახურში დახმარება საერთოდ არ გაიცემა. არავინ გვყავს დამხმარე, გთხოვთ განგვიმარტოთ, რა სახის დახმარება გვეკუთვნის და როგორი წესით გაიცემა პირადად ჩემზე და ჩემს მცირეწლოვან შვილებზე პურის კომპენსაცია?

ნ. აბესაძე,
თბილისი.

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად თქვენ, როგორც არამომუშავეს, 6 თვის ბავშვზე დახმარება თვეში 170 მანეთის ოდენობით უნდა მიიღოთ რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. წლინახევრიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებზე იგივე ოდენობის დახმარებები უნდა მოგეცეთ მეუღლის სამუშაო ადგილზე, 13, 11 და 7 წლის შვილებზე კომპენსაცია თვეში 40 მანეთის ოდენობით 1992 წლის 15 იანვრიდან, სამწუხაროდ, უკვე აღარ გაიცემა. არ გაიცემა აგრეთვე კვარტალური კომპენსაციები. რაც შეეხება კომპენსაციას პურის საცალო ფასების გაძვირებასთან დაკავშირებით, იგი თქვენი ოჯახის ყველა წევრს ეკუთვნის. თქვენ როგორც დიასახლისი, ამ თანხას მიიღებთ რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან (თუ დღემდე არ წარგიდგენიათ, გირჩევთ დაუყოვნებლივ წარადგინოთ ცნობა, რომ არსად არ მუშაობთ), ხოლო თქვენს მეუღლეს და 6 მცირეწლოვან შვილს პურის კომპენსაცია უნდა მიეცეთ მეუღლის სამუშაო ადგილის მიხედვით.

კითხვა: წარმოუდგენელია ის გასაჭირი, რომელიც ამ ზამთარს გადავიტანეთ, გთხოვთ განგვიმარტოთ, ვინ გასცემს პურის კომპენსაციას ლტოლვილებზე?

ლ. დოლიშვილი,
გორი.

პასუხი: ლტოლვილებზე კომპენსაციას გასცემენ ის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სადაც ისინი შრომის ბირჟების მიერ არიან მიმაგრებული და იღებენ ხელფასს, სტიპენდიას, პენსიას ან დახმარებას, ხოლო იმ ლტოლვილებზე, რომლებიც არ არიან მიმაგრებულნი, კომპენსაციას გასცემენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კითხვა: ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში პასუხისმგებ თანამდებობაზე, მყავს 8 თვის ბავშვი, ამჟამად ვიმყოფები ნაწილობრივ ფასიან შვებულებაში ბავშვის მოსავლელად. აუცილებელია ჩემი სამსახურში გასვლა. ოჯახში მყავს 47 წლის დედამთილი, რომელიც ასევე მომუშავეა, გთხოვთ განმიმარტოთ აქვს თუ არა უფლება ჩემს დედამთილს თვითონ გაიფორმოს შვებულება შვილიშვილის მოსავლელად და რა პირობებში?

ა. გიორგაძე,
ქუთაისი.

პასუხი: კანონის თანახმად თქვენს დედამთილს სრული უფლება აქვს გაიფორმოს შვებულება შვილიშვილის მოსავლელად და ისარგებლოს ყველა იმ შეღავათით, რითაც თქვენ უნდა გესარგებლათ, ბავშვის 3 წლის შესრულებამდე, რომ არ გასულიყავით სამსახურში. ამისათვის აუცილებელია სხვა საბუთებთან ერთად მან სამუშაო ადგილზე წარადგინოს ცნობა, რომ თქვენ ბავშვის მოსავლელად შვებულებით არ სარგებლობთ.

კითხვა: ვარ 68 წლის, 8 წელია დამენიშნა ასაკის პენსია, მუშაობას განვაგრძობ. უკანასკნელ წლებში ნამუშევარი მაქვს მაღალ ხელფასზე, მინდა პენსიის გადაანგარიშება. გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა ამის უფლება და მოქმედი კანონის შესაბამისად რამდენი წლის ხელფასია საჭირო პენსიის გადასაანგარიშებლად?

კ. ონიანი,
ლენტეხი.

პასუხი: პენსიის გამოანგარიშება-გადაანგარიშების ნაწილში ჯერჯერობით მოქმედებს ისევ ძველი საპენსიო კანონი, გარდა იმ პირებისა, რომელთა მიმართ ახალი კანონი მთლიანად შევიდა ძალაში 1990 წლის 1 ოქტომბრიდან (ომის ინვალიდები, მონაწილეები, მათთან გათანაბრებული პირები და სხვა).

როგორც შეკითხვაში აღნიშნავთ, თქვენ ამ პირთა კატეგორიას არ მიეკუთვნებით, ამიტომ უფლება გაქვთ პენსიის გადასაანგარიშებლად სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას წარუდგინოთ პენსიის დანიშვნის შემდეგ უკანასკნელი 2 წლის ხელფასის ცნობა და პენსიის ოდენობა განესაზღვრებათ უფრო მაღალი გამომუშავების მიხედვით.

თვალსაზრისი

ლაპარაკსა და მსჯელობას პრაქტიკული საქმეები უნდა მოჰყვეს

„საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს ინტერვიუს აძლევს აკადემიკოსი შალვა კერესელიძე

● ბატონო შალვა! თქვენ კარგად მოგეხსენებათ დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა, ის დიდი სიძნელეები და სირთულეები, რომლებიც ქვეყნის და კერძოდ ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წინაშეა. უპირველესად გვაინტერესებს თქვენი, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლური დარგის — მექანიზაციის გამოჩენილი სპეციალისტის აზრი, თუ რამ განაპირობა ასეთი მდგომარეობა?

— საკითხი სწორად დაისვა და კარგ დასაბუთებულ პასუხსაც მოითხოვს, მე კი არც პოლიტოლოგი ვარ და არც ეკონომისტი. ამიტომ მკითხველმა მაპატიოს, თუ ამ საკმაოდ რთულ საკითხზე კარგად და ამომწურავად ვერ გიპასუხოთ, მაგრამ მოკლედ მაინც ვიტყვი: გაპარტახდა არა მარტო ჩვენი, საქართველოს სოფლის მეურნეობა, არამედ უზნარესად თვით დიდი ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე ქვეყნის — მხედველობაში მაქვს ყოფილი სსრ კავშირის — სოფლის მეურნეობაც, რომლის მთლიანი ეროვნული შემოსავალი ოთხ ტრილიონ მანეთამდე იყო და თავის განკარგულებაში 260 მილიონ ჰექტრამდე უძვირფასესი სახნავ-სათესი მიწები ჰქონდა. მაშასადამე, პირველი დასკვნა ასეთია: სოფლის მეურნეობის ასეთი დაქვეითება არ მომხდარა ეკონომიკური სივიწროვითა და შეუძლებლობით, მის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია უვიცი მართვა და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში დაშვებული უხეში შეცდომები.

სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით დააქვეითა იმან, რომ ჰექტარი მიწის განოყიერებაზე საშუალოდ მხოლოდ 67 კაპიკს ვხარჯავდით, ამერიკა და მთელი რიგი ევროპული ქვეყნები — 15 დოლარს, და სწორედ ამის შესაბამისად ჩვენს მშვენიერ მიწებზე ხორბლის საშუალო მოსავალი ვერა და ვერ ავწიეთ 15 ცენტნერზე ზევით, მთელ რიგ ქვეყნებში კი ხორბლის მოსავალი 90 ცენტნერამდე აიყვანეს. ამას ემატებოდა ისიც, რომ სოფლად მომუშავეთა პირადი დაინტერესება მეტი პროდუქციის მოწევაში პირდაპირ ნულამდე დავიყვანეთ, გლეხს იმასაც კი ვართმევდით, რაც მას პირადად სჭირდებოდა. მანქანა-ტრაქტორების სადგურების გაუქმებით სოფელს მოვუშალეთ ტექნიკური ბაზა, პირდაპირ გავახადგურეთ მისი ტექნიკა ცუდი მოვლით და უპატრონობით.

კარგა ხანს მეგონა, რომ ჩვენი ტექნიკის ასეთი მცირე ხანგამძლეობა მათი ტექნოლოგიური და ცუდი კონსტრუქციული დამუშავებით იყო გამოწვეული, მაგრამ როცა ბევრმა საზღვარგარეთის ქვეყანამ ჩვენი ტექნიკა შეიძინა, აღმოჩნდა, რომ ჩვენი მანქანები მათ ხელში ისევე კარგად მუშაობდნენ 18 წლის მანძილზე, როგორც მათი ტექნიკა. აქედან დასკვნა ასეთია: იქ ტექნიკას მზრუნველი პატრონი ჰყავს. კარგად უვლიან, პირადი დაინტერესება გაცილებით მეტი აქვთ და შედეგებიც სავსებით დამაკმაყოფილებელია. ერთი სოფლად მომუშავე ამერიკელი 115 ქალაქელს ასაზრდოებს, ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთი სოფლად მომუშავე 35 ადამიანს აქმევდა, საქართველოში კი 9-ს. სხვა მიზეზებიც ბლომადაა. ახლა ყველას ჩამოთვლას არ შევუდგებით.

● ახლა კი უფრო დავაკონკრეტოთ ჩვენი საუბარი, და გთხოვთ გვითხრათ, თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა გამოვიყვანოთ ამ მძიმე მდგომარეობიდან?

— ახლა ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ საბაზრო ეკონომიკაზე. თვით ბაზარი პროდუქტებს არ ქმნის, პროდუქტებს მხოლოდ შეისყიდის და ყიდის, და ამიტომ, თუ შექმნილ პროდუქტებს ბლომად არ მივაწოდებთ, ბაზარი ჩვენს ეკონომიკაზე ვერავითარ შემთხვევაში დადებით გავლენას ვერ მოახდენს. სამწუხაროდ, სოფლად პროდუქტების შექმნამ კატასტროფულად იკლო, ამას დაერთო ფასების ე. წ. უკონტროლო ლიბერალიზაცია, თავისუფალი აშვება, და შედეგებმაც არ დააყოვნა, თითქმის ყველა პროდუქტისა და პროდუქციის გასაყიდმა ფასებმა სრულიად უჩვეულოდ — 100-ჯერ იმატა. ახლა კი ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გვინდა თქვენს ამ მეორე კითხვას კონკრეტულად შემდეგი პასუხი გავცეთ:

ჩვენი სოფლის მეურნეობა რომ შედარებით მალე გამოვიყვანოთ ამ მძიმე განსაცდელიდან, ჩვენი აზრის, უპირველესად საჭიროა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, სოფელი მოვამარაგოთ ტექნიკით და სასუქებით, დროზე დავნერგოთ მეცნიერული, დიდი უკუგების მქონე სიახლეები, მარტო ის რად ღირება, რომ სოფლად მალე დავნერგოთ პროფესორ თამაზ გახოკიძის ლაბორატორიაში გამოყვანილი სრულიად ახალი ეკოლოგიური, სუფთა და მოსავლის დიდად გაზრდის სტიმულატორები. გავაძლიეროთ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, ახლებურად დავგეგმოთ სასოფლო კულტურების რაიონების მიხედვით გადაადგილება და მათი ხვედრითი წილი, განსაკუთრებით გავაფართოოთ და განვავითაროთ ვალუტის შემომტანი კულტურები, გავაუმჯობესოთ მშრომელთა პირადი დაინტერესება, ყველა კომლს კერძო საკუთრებაში მივცეთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი და ამით შემოვფარგლოთ მიწის პრივატიზაცია, დანარჩენი მიწები, ჩვენი აზრით, ყოველ მიზეზგარეშე სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს.

საქართველოში ხომ ძველთაგანაა ცნობილი ე. წ. „ნადებით" მთელი მიწის სამუშაოების შესრულება. ამიტომ სანამ გვიან არ არის და უკეთესი რამ არ გამოგვინახავს, კოლმეურნეობებს და მეურნეობებს მეტი მზრუნველობით უნდა ვუხელმძღვანელოთ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ დაწვრილმანებული გლეხური ამხანაგობები და მეურნეობები დღეს ვერ შეიძენენ თითქმის სამოცჯერ გაძვირებულ ტექნიკას, უტექნიკოდ კი, ბარითა და თოხით, ახლა სიუხვეს როგორ შევქმნით!

● ცხადია, მიწის პრივატიზაცია, კერძო საკუთრებაში გადაცემა, ალბათ, ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ მექანიზაცია არ განვავითარეთ სწრაფად და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ჩვენს გლეხს უწინ ჰყავდა ხარ-კამეჩი და სხვა გამწევი ძალა, ჰქონდა სხვადასხვაგვარი მარტივი აღჭურვილობა, ახლა კი საქართველოს სოფელში ასეთს ვერაფერს ვხედავთ. როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორი მანქანები უნდა გამოვუშვათ, რომ სოფელს ვუშველოთ?

— პირდაპირ გეტყვით, მიწას უნდა მხოლოდ სრულყოფილი და დიდმწარმოებლური ტექნიკა. მცირე მექანიზაციის იმედი ტყუილად ნუ გვაქვს, ვერც მცირე მექანიზაციით ვუშველით სოფელს, საკოლმეურნეო მიწის ტექნოლოგიებს და ვერც კერძო საკუთრებაში მყოფ მიწებს დავამუშავებთ. ნურავის ეგონება, თითქოს პირადად მე საერთოდ მცირე მექანიზაციის წინააღმდეგი ვიყო, არა მე პირველმა გამოვაქვეყნე წერილი პრესაში ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ, რომ ქვეყანას მცირე მექანიზაციის საშუალებები აკლია და ეს საქმე უთუოდ უნდა გამოსწორდეს-მეთქი. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენს თანამემამულეს მცირე მექანიზაცია მთლად უვარგისი მოტობლოკების შეძენა და ან ადგილზე შექმნა ეგონა. რად გვინდა ისეთი მოტობლოკები, რომლებიც ცალფრთიან გუთანს და წყვილთათიან კულტივატორს ვერ გასწევს და მიწას ვერ მოგვინახავს! ჩვენ გვაკლია და გვინდა შედარებით მცირე სიმძლავრის მქონე ოთხთვლიანი ტრაქტორები და ისეთი მოტობლოკები, რომლებიც ხვნის ოპერაციებს ნებისმიერ მიწებზე მცირე მოდების განით მაინც სავსებით კარგად შეასრულებენ. აი, ასეთი გვინდა მცირე მექანიზაციის საშუალებები და არა ისეთი, დღეს რომ ვუშვებთ. მცირე მექანიზაციის საშუალებით საკმაოდ კარგად იყო აღჭურვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, მაგრამ ცხოვრებამ აშკარად დაანახვა მათ, რომ მცირე მექანიზაციით პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი შეიქმნა და მის გამოყენებაზე უკვე უარი თქვეს.

ჩვენ გვინდა დიდმწარმოებლური, ხანგამძლე უნივერსალური ტექნიკა, ჩვენ გვინდა ასევე ხანგამძლე, შედარებით მცირე სიმძლავრის მქონე ტექნიკაც, რომელსაც აუცილებლად შეეძლება უწინარესად ხვნა. სამწუხაროდ, ჩვენი ქარხნები სრულიად შეცდომით ირჯებიან, ასე თავგამოდებით რომ უშვებენ ყოვლად უძლურ მოტობლოკებს.

ერთსაც დავუმატებ: იმედის მომცემია ის, რომ ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომამ სპეციალურად იმსჯელა მცირე მექანიზაციის განვითარების პრობლემებზე და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

● კიდევ რას დაუმატებდით, ბატონო შალვა, ჩვენს კითხვებს?

— ამისთვის მადლობელი გახლავართ და ხალისით მოგახსენებთ კიდევ ერთ რამეს, ერთობ მნიშვნელოვანს, სახელდობრ შემდეგს: ფაქტია, რომ სასოფლო ტექნიკას საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით და ორიგინალურს ვქმნით ქართველი მეცნიერი მუშაკები და კონსტრუქტორები, მაგრამ მათი საქარხნო დამზადება, ჯერ ერთი, საჭირო დონეზე არ დგას და, რაც განსაკუთრებით სავალალოა, უკვე დამზადებულ და სავსებით დადებითად გამოცდილ ნიმუშებს, სერიულად ათეული წლების განმავლობაში ჩვენი ქარხნები არ უშვებენ! განა სირცხვილი არ არის, ჩვენში, პირველად მსოფლიოს მასშტაბით, შექმნილი ფერდობმავალი (სამთო ტრაქტორი), რომელმაც წარმატებით გაიარა სახელმწიფო გამოცდები სხვადასხვა რესპუბლიკაში და სერიული გამოშვების საგზური მიიღო, აგერ მეოცე წელია ვერ დამზადებულა (მისი დამზადება ყოფილ სსრ კავშირის ხელმძღვანელებმა რატომღაც ბულგარეთს გადასცეს და იქაც არაფერი გააკეთეს). როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონების დამუხრუჭება? გაკეთდა ასევე ფრიად საინტერესო და ფრიად დიდი უკუგების მქონე უნიკალური რეაქტიული დანადგარი, რომელიც, თუ ყველა ოპერაციაზე გამოვიყენებთ, ყოველ წელს 400 ათას მანეთს უკუგებას იძლევა. მასზე ძალიან დიდი მოთხოვნაა, მაგრამ სერიული დამზადებისთვის დღესაც თავს არავინ არ იწუხებს. დამზადდა კიდევ მანქანა „საქართველოს" სრულიად ახალი მოდიფიკაცია, უნივერსალური შასის მქონე ჩაისსაკრეფი, ძირითადად, განკუთვნილი 1,25 მეტრის მქონე რიგთაშორისების ჩაის პლანტაციებისთვის. მან გამოცდები წარმატებით გაიარა, მაგრამ არც ამის დამამზადებელი ჩანს ვინმე.

რამდენია კიდევ ასეთი მანქანები, ზარალი მილიონობით გამოიხატება, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ არაფერს ღონობს. დავამუშავეთ და, ჩვენი ღრმა რწმენით, საიმედოდ გადავჭერით კოლხეთის დაჭაობებული ნიადაგების დაშრობის საუკუნოვანი პრობლემა, წარმატებით გამოვცადეთ მთელი 15 წლის განმავლობაში დაშრობის სრულიად ახალი სისტემა ხორგაში, მაგრამ მისი წარმოებაში დასანერგი თანხები „ოქროს საწმისის" მეურნეობამ ვერ გამონახა და პროექტი მტვრით იფარება — ზარალი მილიონებს შეადგენს. ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვთხოვეთ ჩვენს მთავრობას განეხილა მექანიზაციის ეს საჭირბოროტო საკითხები, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ვთხოვეთ მათ შემდეგ მოსულ მთავრობასაც, არც მას უღონია, რამე, ვთხოვეთ და დამზადებული პროექტი წარვუდგინეთ უკვე მესამე მთავრობას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც მათ განუხილავთ მექანიზაციის ეს ფრიად საჭირბოროტო პრობლემები. რით აეხსნათ ყოველივე ეს?

გადავამუშავეთ და დიდი გაჭირვებით დავამზადეთ ფერდობებზე მავალი, სრულიად ახალი კონსტრუქციის ჩაის საკრეფი თვითმავალი უნივერსალური შასი ფერდობებზე შეგუების ორიგინალური ავტომატით. სულ მალე ჩაის კრეფაზე გამოვცდით და მის საიმედოობაში ეჭვიც არ მეპარება, ამით დავამთავრებთ ჩაის არა მარტო ვაკის პლანტაციების, არამედ ფერდობებზე გაშენებული პლანტაციების მექანიზებული ათვისება.

გაცხოველებული ტემპით ვამუშავებთ აგრეთვე ჩაისათვის სრულიად ახალი კონსტრუქციისა და ტექნოლოგიის კომბაინს, რომელსაც ანალოგი არა აქვს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, იგი ჩაის ფოთლის კრეფასთან ერთად ერთდროულად ფოთლის ტექნოლოგიურ გადამუშავებასაც შეასრულებს სრულიად ახალი მეთოდებითა და საშუალებებით, რაც არსებითად გააუმჯობესებს ჩაის ეკოლოგიას, ჩაის მზა პროდუქციის ხარისხს და პირდაპირ მილიონობით გააიაფებს ჩაის მზა პროდუქციის თვითღირებულებას. მაგრამ მის დამზადებაში მანქანათმშენებელი, ფოლადთუჯსამსხმელო და ტექნიკური უნივერსიტეტის ქარხნების გარდა ბევრმა ქარხანამ (განსაკუთრებით საავიაციომ) არაფერი დახმარება არ გაგვიწია. საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობამ ჯერ თვითონ გვთხოვა მიგვეცა პროექტი, მანქანას დაგიმზადებთო, ხოლო როცა ყველაფერი ჩავაბარეთ, მათ შორის თვით მანქანის ნიმუშიც, ერთი თვის შემდეგ ქარხნის ყოფილმა დირექტორმა უარი გვითხრა მის დამზადებაზე, ხოლო განმეორებით თხოვნაზე ქარხნის ახალმა ხელმძღვანელობამ პასუხის მოცემაც არ ჩათვალა საჭიროდ, აი ასეთი პატრიოტები ჰყავს ჩვენს სოფელს!

დროა, დროა მაქსიმალური ზრუნვით და ქმედითი საშუალებებით, ყველამ მივხედოთ, ჩვენი რესპუბლიკის დაქცეულ სოფლის მეურნეობას, თორემ დღევანდელი შიმშილი რა არის, ასჯერ უარესს შევეყრებით სულ მალე! აი, ასეთია ჩემი პირადი შეხედულებები და მოსაზრებები. მკითხველს, რომელიც გულდასმით და დაფიქრებით წაიკითხავს ამ ჩემს მოსაზრებებს და კრიტიკულად სამართლიან შენიშვნებს გააკეთებს, ჩვენ წინასწარ დიდ მადლობას მოვახსენებთ. და ბოლოს, არ შეგვიძლია გულით არ მივესალმოთ ამ გაჭირვების ჟამს დიდი სახელმწიფო მოღვაწის ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლას. უთუოდ მოგვეცა იმედი.

და ბოლოს, ერთ სამწუხარო საკითხს უნდა შევეხო, დიდი გულისტკივილით ვთქვა, რომ ამ ბოლო წლებში არნახული და არგაგონილი ბარბაროსული ხერხებითა და საშუალებებით ვიღაცები გვიმტვრევენ და იტაცებენ წლების განმავლობაში სიმწრით შექმნილ უნიკალურ მანქანებს პირდაპირ ინსტიტუტის გარაჟებში. სამწუხაროდ, მშველელი არავინაა. ისე გაძარცვეს სერიისთვის საბოლოოდ დამზადებული რეაქტიული დანადგარი, რომ მისი აღდგენა საეჭვოც კი გახდა, შარშან და წელს 26-ჯერ მოხდა ასეთი ფაქტი. ვის არ ვთხოვე შველა, მაგრამ არც მცხეთის რაიონის მილიციამ, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით, და, სამწუხაროდ, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ჩვენს წერილობით მუდარას და თხოვნას, რომ ჩაეტარებინათ გამოძიება და მოეცათ ინსტიტუტისთვის შეიარაღებული დაცვა. პირდაპირ არ ვიცით, სად წავიღოთ, სად გადავმალოთ ახალი მანქანები, ეგებ ახლა მაინც ეშველოს ამ საქმეს. იმედი გვაქვს, ვნახოთ!

ესაუბრა
გივი ჩიქვინიძე.

„საქართველო" საბაზრო პირობებში

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატმა „საქართველომ" ამა წლის 2 თვეში 285 ათასი გრძივი მეტრი შალი გამოუშვა (შარშანდელი წლის ამავე მაჩვენებლის 110 პროცენტი).

— ეს ერთბაშად არ მომხდარა, — გვითხრა კომბინატის დირექტორმა მ. თენიეშვილმა. — წარმოების აღმავლობის ეკონომიკური სტიმულები სრული ძალით ამოქმედდა 1986 წელს, როცა საწარმოში კომერციული ჯგუფი ამუშავდა. პროდუქციის ასორტიმენტის განახლებამ, ქსოვილების უზადო ხარისხმა, მუშაკთა მატერიალურმა დაინტერესებამ, სხვა ღონისძიებებმა — საფუძველი შეუქმნა კომბინატის მუშაობას საბაზრო პირობებში.



სურათებზე: კომბინატის დირექტორი მამია თენიეშვილი (მარჯვნივ) და საგეგმო განყოფილების უფროსი ბიძინა კალატოზიშვილი ქარხნის ახალი გასასვლელის პროექტს სინჯავენ; მაუდსაქსოვ სამქროში.

შაქვალად აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად, ზვავსაშიშროებაა!

მთა ყურადღებას ითხოვს



დავით იაკობაშვილის ფოტო.

1987-1988 წლების კატასტროფული დიდთოვლობის შემდეგ ასე გაჭიანურებული და მკაცრი ზამთარი საქართველოს ბარს არ ახსოვს. კოლხეთის დაბლობზეც კი თოვლის სქელი ფენით დაიფარა გზები და ბილიკები, შეწყდა საავტომობილო მიმოსვლა, დაწყდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები. რაიონებს შორის შეწყდა სატელეფონო კავშირი.

ეს ცნობილია. არც ისაა ახალი, რომ სწრაფ დათბობასთან ერთად საქართველოს მთებსა და მთის კალთებზე თოვლის ინტენსიური დნობა დაიწყო, რაც ზვავების და ჩამოწოლის საშიშროებას ქმნის.

ვიცით კი, რა არის ზვავი?

დღეს ზვავებზე ვილაპარაკებთ.

თოვლის ზვავების ვარდნის მექანიზმი ტყის ფიტოცენოზთან კავშირში, საკმაოდ კარგად არის შესწავლილი.

ამ პროცესებს განაპირობებს თოვლის მოსვლის ხასიათი, მისი სისქე, ზვავშემკრები აუზის რელიეფი და კონფიგურაცია, დაქანების სიმკვეთრე, ექსპოზიცია. გადამწყვეტი მნიშვნელობა კი კლიმატისა და დროის ფაქტორებს ენიჭება.

ზვავების ჩასახვისა და ვარდნის პროცესი უკავშირდება, ერთი მხრივ, ნიადაგის ზედაპირთან თოვლის შეჭიდულობის ძალების დაქვეითებას, რასაც დადებითი ტემპერატურების დადგომასთან ერთად თოვლის შიგნით მიმდინარე ბუნებრივი პროცესები განაპირობებს, ხოლო, მეორე მხრივ, — თოვლის მასას, რომელიც მიმართულია ფერდობის დახრილობისაკენ. როდესაც თოვლის სიმძიმის ძალა გადააჭარბებს ნიადაგთან მისი შეჭიდულობის ძალებს, იწყება თოვლის მოძრაობა ფერდობის დახრილობის მიმართულებით, რაც საბოლოოდ სტიქიურ უბედურებად იქცევა. განასხვავებენ მშრალი და სველი თოვლისგან წარმოქმნილ ზვავის ტიპებს. ორივე ერთნაირად საშიშია. ამასთან, მშრალი ზვავების ვარდნის დროს წარმოიქმნება ჰაერის ტალღა, ყველაფერს რომ სპობს 200-300 მეტრის ფარგლებში. სწორედ ასე განადგურდა სვანური სოფელი ჟამუში 1988 წელს.

ტყე მთის ფერდობზე თოვლის ზვავების შემკავებელია. მაგრამ, ამასთანავე, დადგენილია, რომ ტყის დაცვითს მასივებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიოს ზვავების გამანადგურებელ ზემოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

— თოვლშემკრები აუზის ფართობი (საზვავე კომპლექსში) არ აღემატება 12 ჰექტარს დასავლეთ საქართველოს სატყეო-სამეურნეო რაიონებისათვის და 15 ჰექტარს — აღმოსავლეთისათვის;

— ფერდობთა დაქანების სიმკვეთრე არ აღემატება 40 გრადუსს დასავლეთის და 45 გრადუსს აღმოსავლეთის სატყეო-სამეურნეო რაიონებისათვის;

— ზვავის გარბენის მანძილი უტყეო ზონაში არ აღემატება 250 მეტრს დასავლეთისა და 300 მეტრს აღმოსავლეთ საქართველოს სატყეო-სამეურნეო რაიონებისათვის;

— ზვავის ზემოქმედების კოეფიციენტი ტყის დაცვის მასივებზე არ აღემატება 160,7 დასავლეთის, ხოლო 201,1 აღმოსავლეთის სატყეო-სამეურნეო რაიონებისათვის.

აღნიშნული პარამეტრების მქონე საზვავე კომპლექსიდან მოწყვეტილი ზვავების დამანგრეველ ძალას ჯერ ასუსტებს, ხოლო შემდეგ სრულიად აქრობს დაცვითი ტყის მასივი, რომლის სიგანეც საზვავე კომპლექსის პარამეტრების ზრდის მიხედვით შეიცვლება 50 მეტრიდან 900 მეტრამდე ფარგლებში.

ცხადია, ყოველგვარ ტყეს არ შეუძლია ზვავის გამანადგურებელი ზემოქმედების შეჩერება. დადგენილია, რომ ოპტიმალურია შერეული, მაღალი სიხშირის, ნაირხოვანი კორომები, უმეტესწილად 100-150 ხნოვანების, რომელთა ხეების საშუალო სიმაღლე სულ ცოტა 2-ჯერ მაინც ჭარბობს თოვლის საფარის მაქსიმალურ სისქეს, ხოლო ხეთა დგომის სიმჭიდროვე ტოლია 560-650 ერთეულისა ერთ ჰექტარზე.

დაცვითი ტყის მასივების აღნიშნული პარამეტრების დარღვევა მეტად ძვირად დაუჯდათ ქვემო სვანეთის სოფლების ჩუკულისა და ნაჩოლუარის მცხოვრებს. კერძოდ, სოფელ ჩუკულში 1940-1945 წლებში დაუშვეს სოფლის დამცავ ტყის მასივებში გადაჭარბებული ჭრა, რასაც შემდეგ კორომების გამეჩხრება, ზვავების ჩასახვა და მათი გააქტიურება მოჰყვა.

ნაჩოლაურში 1987-1988 წლებში სოფლის დამცავ ტყის მასივში მოსახლეობამ საქონლის საკვების დასამზადებლად ადრე გაზაფხულზე გადაბელა ხეები. დაირღვა ტყის მასივის სტრუქტურა, მნიშვნელოვნად შემცირდა კორომში ხეების სიმაღლე. ტყემ ვერ უზრუნველყო 5-6 მეტრი სიმაღლის თოვლის მასის შეკავება და მოხდა კატასტროფა.

დადგენილია, რომ პოტენციურად, საშიშ საზვავეებში შესაძლებელია წლების განმავლობაში არ აღინიშნოს ზვავის აქტიურობა, მაგრამ არ არის გამორიცხული მისი მრავალჯერადი განმეორება ერთი წლის განმავლობაშიც კი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე ჩვენი წინაპრები იცნობდნენ ბუნების ამ მძვინვარე მოვლენას, არასოდეს აგებდნენ საცხოვრებელს ზვავსაშიშ ადგილებში. სამწუხაროდ, ამ გამოცდილებას ხელი აუქნიეს და შედეგად ტრაგიკული მაგალითი: 1988 წლის დიდთოვლობის ჟამს სოფ. ცხუმარს ზვავი დაეცა, წალეკა ტყე, დაანგრია საცხოვრებელი სახლები, სხვა ნაგებობანი. მიზეზი: სოფლის ეს დაზარალებული ნაწილი ტიპიურ, ძლიერ ზვავსაშიშ ზონაში იყო გაშენებული. როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, იქ ზვავის წარმოშობის წინააღმდეგ ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა შედეგს არ მოიტანდა, ხოლო ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა.

კიდევ და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ საჭიროა, ერთი მხრივ, მკაცრად გაფრთხილდნენ ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მესვეურნი, რომ აიკრძალოს ზვავსაშიშ ადგილებში საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფა, მეორე მხრივ, ამ საკითხებთან დაკავშირებით საჭირო იქნება ფართო პროპაგანდა მოსახლეობაში მეცნიერების დღევანდელ მიღწევათა გათვალისწინებით. ეს პუბლიკაციაც ამ მიზანს ისახავს.

რევაზ ჩაგელიშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბი გვაფრთხილებს

საქართველოს მდინარეთა აუზებში დაგროვილი თოვლის დნობისა და წვიმების შედეგად მოსალოდნელია წყალდიდობები.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა წყალდიდობებისაგან მოსახლეობის და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით მობილიზაცია უნდა გაუკეთონ ყველა საჭირო ძალებს და გაამზადონ საშუალებები, განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებები.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სხვა გაზეთებიდან

ვაშინგტონში მოდად იქცა პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლა

ალექსანდრე შალნევი,

თეთრმა სახლმა და შეერთებული შტატების კონგრესმა პრივილეგიების წინააღმდეგ წამოიწყეს დიდი ბრძოლა, რომელიც არჩევნების წინ ამომრჩეველთა ხმების მოპოვებას და ერთმანეთისთვის საქმის გაფუჭებას ისახავს მიზნად.

ბრძოლა გამოუცხადეს პრივილეგიებს, რომლებითაც უხსოვარი დროიდან სარგებლობდნენ კანონმდებლებიც და ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირებიც, თვით პრეზიდენტიც კი, და სულ უკანასკნელ ხანებამდე ხელშეუვალ პრივილეგიებად ითვლებოდნენ. ასეთებია, მაგალითად, სახელმწიფოს ხარჯზე სახელმწიფო თვითმფრინავით პირადი საქმეებისთვის მოგზაურობა; უფასო სამედიცინო მომსახურება და სპეციალურ საპარიკმახეროში თმის გაკრეჭა წარმოუდგენლად იაფად; ანდა უადგილო ადგილას მანქანის დაყენებისთვის დადებული ჯარიმის ავტომატური გაუქმება და ერთობ შეღავათიან ფასად საკანცელარიო ნივთების შეძენა.

ამ ბრძოლის შედეგები უკვე გამოჩნდა. სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი გასულ პარასკევს თავის მშობლიურ ტეხასში ორიოდე დღის შვებულებით გაემგზავრა ჩვეულებრივი რეისის თვითმფრინავით, თანაც ეკონომიური კლასის სალონში, თუმცა ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევებში ის მინისტრთა კაბინეტის ყველა სხვა წევრისა და ძირითად ფედერალურ უწყებათა ხელმძღვანელებისამებრ პენტაგონის თვითმფრინავში ჯდებოდა ხოლმე. ბილეთის ფასი ბეიკერმა თვითონ გადაიხადა, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ თავისი საკუთარი ფულის ხარჯვაში ის საკმაოდ ხელმოჭერილია მიუხედავად იმისა, რომ მილიონერია და, ცხადია, ადვილად შეეძლო გაფრენილიყო პირველი კლასით.

სახელმწიფო დეპარტამენტმა დიდი კმაყოფილებით გამოაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანმა თვითონ აიღო ხელი ამ პრივილეგიაზე, რომელიც კონგრესის მთავარი საანგარიშო სამმართველოს შეფასებით გადასახადების გადამხდელთ დაახლოებით 400 ათასი დოლარი უჯდებათ, თუ მარტოოდენ ბეიკერის ამ ბოლო სამი წლის პირად მოგზაურობებს ვიანგარიშებთ. ეს კია, სახელმწიფო დეპარტამენტმა სიამოვნებით აღნიშნა, პენტაგონი არაპენტაგონელებს 67 პროცენტით მეტს ახდევინებს, ვიდრე თავის ხალხსო. ესე იგი, ვკითხე სახელმწიფო დეპარტამენტში, თუ პენტაგონის ერთსა და იმავე თვითმფრინავში იმგზავრებენ ბეიკერი და თავდაცვის მინისტრი ჩეინი, სახელმწიფო დეპარტამენტისთვის წარდგენილი ანგარიში სამინისტროსათვის წარდგენილ ანგარიშზე ბევრად მეტი იქნებამეთქი? დიახ, მიპასუხეს.

ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც ანგარიშის წარდგენა და, შესაბამისად, ამ ანგარიშის გათვალისწინება ხდება, კიდეც რომ საბოლოო ანგარიშით გადასახადების გადამხდელებმა გაანაღდონ იგი.

მაგრამ ადმინისტრაციაში ჯერჯერობით ყველა როდია მზად იმისათვის, რომ მიჰბაძოს ბეიკერს, რომელიც, როგორც ამბობენ, ერთობ კმაყოფილი დარჩენილა ეკონომკლასის სალონში მოგზაურობით. რიჩარდ ჩეინის განუცხადებია, კვლავაც სამხედრო თვითმფრინავით ვისარგებლებ, რადგან ეს საგანგებო სიტუაციებში ჩემი ფუნქციების განსახორციელებლად მჭირდებაო. ჩვეულებრივი ადამიანებივით ფრენა იუსტიციის მინისტრს გადააფიქრებინა კვლევა-ძიების ფედერალურმა ბიურომ. ვიცე-პრეზიდენტ კუეილსაც უთქვამს, რეისის ვარიანტი საჩემო არ არისო.

სამაგიეროდ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ცოტათი შეცვალა თეთრი სახლის ტრადიცია და საქმეზე მოგზაურობის დროს უზარმაზარ „ბოინგ-747“-ში კი არ ჩაჯდა, რომელსაც ყოველი შემთხვევისათვის კიდევ ერთი „ბოინგ-747“ მიჰყვება აუცილებლად, არამედ უფრო მცირე ზომის და, მაშასადამე, ნაკლები დანახარჯების მომთხოვნ თვითმფრინავში. ცნობისათვის: პრეზიდენტის „ბოინგი“ ერთი საათით დაახლოებით 50 ათასი დოლარი ჯდება. ამ ხარჯების ნაწილობრივ შემცირება ხერხდება მაშინ, როცა ბუშს მიჰყვებიან ჟურნალისტები, რომლებსაც ახდევინებენ იმაზე ბევრად მეტს, რაც ჩვეულებრივი რეისის თვითმფრინავის პირველი კლასის ბილეთი ღირს. ბუნებრივია, ანგარიშს წარუდგენენ ხოლმე იმ ჟურნალისტებსაც, რომლებიც სახელმწიფო მდივანს ახლავან უცხოეთში. იქნებ ეს არის დამოუკიდებლობის ელემენტი, რომელიც რეპორტიორებს საშუალებას აძლევს სულაც არ მიიჩნიონ თავი პრეზიდენტის ან სახელმწიფო მდივნის სტუმრებად და წერონ არა ისე, როგორც თავაზიანი პრესმდივნები უკარნახებენ, რომლებიც ცდილობენ ფრენის დროს თავს მოახვიონ საჭირო თვალსაზრისი, არამედ ისე, როგორც თვითონ, რეპორტიორები ხედავენ და საჭიროდ თვლიან.

პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლის უშუალო საბაბი შეიქნა მწვავე სკანდალი, რომელიც კაპიტოლიუმის გორაკზე წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც გამოირკვა, უამრავი იყო ფაქტი კონგრესის ბანკით სარგებლობის „გაიოლებული“ წესების ბოროტად გამოყენებისა. თითქმის ოთხასი აწინდელი და წინანდელი კანონმდებელი ამხილეს იმაში, რომ ამ ბანკში გახსნილი თავ-თავიანთი ანგარიშებიდან არაერთხელ გაუტანიათ დიდ-დიდი თანხები მაშინ, როცა იმ მომენტისათვის ამ ანგარიშებზე ერთი ცენტიც არ ირიცხებოდა. ასეთი რამ ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილ ჩვეულებრივ ბანკში რომ მომხდარიყო, ჯარიმა — ფინანსურიც და მორალურიც არ ასცდებოდათ: მსგავსი დარღვევის გამო ამერიკელი შავ სიაში ხვდება, რომელიც ყველა საკრედიტო ორგანიზაციისათვის ხელმისაწვდომია.

კონგრესმენებს კი ყველაფერი ეპატიებოდათ. როცა ეს გაირკვა, გადასახადის გადამხდელები ისე განრისხდნენ, რომ ათობით კანონმდებელმა ან უკვე უარი თქვა საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობაზე ნოემბერში, ან კანდიდატებად არც წამოაყენეს.

ეს მხოლოდ დასაწყისია. გაგრძელება რომ ასეთივე გულის დამამძიმებელი არ ყოფილიყო, კონგრესის ხელმძღვანელობამ, პარტიული კუთვნილებით დემოკრატიულმა, დაასწრო და წამოიწყო სერია დარტყმებისა, რომლებიც ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ რიგითი ამომრჩევლის გული მოეგოთ. მთავარი დარტყმა მიმართეს რესპუბლიკური ადმინისტრაციის, პირადად პრეზიდენტ ბუშის და მისი გუნდის წინააღმდეგ. მათ ბრალად დასდეს, რომ მეტისმეტი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, კერძოდ ის, რომ უფასოდ ემსახურებოდნენ ექიმები და უფასოდ დაფრინავდნენ სახელმწიფო თვითმფრინავებით. ქვეყანაში, სადაც სამედიცინო მომსახურება უჩვეულოდ ძვირია და კიდევ უფრო ძვირდება, უმაღლესი მოხელეებისათვის მინიჭებული უფასო მომსახურების უფლება რიგითი ადამიანების სავსებით გასაგებ და ფრიად ძლიერ გაღიზიანებას იწვევს.

მეორე დარტყმა კონგრესმა თავის თავს აწვნია იმით, რომ დაადგინა, ამიერიდან კანონმდებლებს ერთმევათ ზემოთ აღნიშნული და აღუნიშნავი პრივილეგიებიო.

ეს ცოტაა, უპასუხა თეთრმა სახლმა, ბუნებრივია, ერთობ გაბოროტებულმა ადმინისტრაციის აგრერიგად წარმოჩენით შუა საარჩევნო კომპანიის დროს. კვირის დამლევს პრეზიდენტმა სიტყვა წარმოთქვა ფილადელფიაში, სადაც ის ჩვეულებრივზე პატარა თვითმფრინავით ჩაფრინდა და პრივილეგიათა აღკვეთის თავისი პროგრამა გააცნო საზოგადოებას. სხვათა შორის, მან ის წინადადებაც წამოაყენა, რომ მიეღოთ კონსტიტუციის შესწორებანი, რომლებიც კონგრესმენებსა და სენატორებს შესაძლებლობას ართმევდა ფაქტობრივად მთელი სიცოცხლე გაეტარებინათ კაპიტოლიუმის გორაკზე: სენატორებს უფლება მიეცემათ ხალხს ემსახურონ ორი ექვს-ექვსწლიანი ვადით, ხოლო წარმომადგენელთა პალატის წევრებს — ექვსი ორწლიანი ვადით.

კადრების კონგრესი ჩვენ არ გვჭირდებაო, თქვა პრეზიდენტმა.

ახლა კონგრესი სწორედ რომ ასეთია: კანონმდებელთა შემადგენლობის განახლება სულ უმნიშვნელოა; კონგრესში არჩეული კაცი უამრავი შეღავათით სარგებლობს, იძენს გავლენას, რომელიც მას მეტოქეთა წინაშე საფუძვლიან უპირატესობას ანიჭებს არჩევნებში. კანონმდებელმა თუ არჩევნები წააგო, ვერ მიაღწია იმას, რომ ახალი ვადით აერჩიათ ის, — ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გახმაურებული სკანდალის ან საკუთარი მოუსაზრებლობის შედეგად.

ასეთი სიტუაცია ყველა ამერიკელს როდი აძლევს ხელს. მათ მიაჩნიათ, რომ მათი „მსახურები“, რომლებიც პერმანენტული ვაშინგტონელები გახდნენ, ხალხის ინტერესებს სწყდებიან. ზოგიერთმა შტატმა უკვე მიიღო კანონი კონგრესსა ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში ყოფნის ვადების რაოდენობის შესაზღუდავად. ახლა კი თეთრი სახლი წინადადებას აყენებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით გავაკეთოთ ეს.

ბუშს საჭიროდ მიაჩნია შემცირდეს კონგრესის კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების რაოდენობა (ახლა ისინი სამასამდეა, თანაც მათი უმეტესობა უბრალოდ იმავეს აკეთებს, რასაც მეორე. მაგალითად, პენტაგონს „თვალს ადევნებს“ 107 კომიტეტი და ქვეკომიტეტი); შეიკვეცოს კონგრესის თანამშრომელთა აპარატი (ზოგიერთ კანონმდებელს 70-მდე თანამშრომელი ჰყავს, ბუნებრივია, გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე); შემცირდეს კონგრესის სესიების ხანგრძლივობა, რათა კანონმდებლებმა მეტი დრო დაუთმონ ამომრჩევლებთან ურთიერთობას.

პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლა, უეჭველია, გამოხმაურებას პოვებს ამომრჩეველთა სულსა და გულში, მაგრამ ჯერჯერობით ჭირს იმის თქმა, თუ ვინ მოიგებს ამ ბრძოლას — თეთრი სახლი, კონგრესი თუ გადასახადის გადამხდელი, რომელიც შეიძლება არჩევნების დამთავრებისთანავე დაავიწყდეთ.

ვაშინგტონი

„იზვესტია“, № 88, 1992 წელი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სათქმელი უნდა ითქვას

ზოგი ჭირი მარგებელია

> „ზოგიერთი ადამიანი ახალ ფეხსაცმელს წააგავს: რაც უფრო იაფფასიანია, მით უფრო ხმამაღლა ჭრიალებს“.
>
> როსტემი.

> „ოჩოფეხებზე შემდგარმა ყოველთვის უნდა შეარჩიოს ადგილი მოსალოდნელი ვარდნისათვის“
>
> ნ. გრიბაჩოვი.

ეს ერთი წელი იმითაც არის გამორჩეული, რომ გამძაფრდა ბრძოლა ე. წ. „პრივილეგიადაკარგულთა“ წინააღმდეგ და პირველობა ამ საქმეში თავისებურ პრივილეგიად იქცა ახალი ტალღის „ენციკლოპედისტგანმანათლებლებისათვის“, ვისაც პრეზიდენტის ბოლმის იარაზე თურმანიძის მალამოს ფუნქცია ეკისრებოდა. მათ დაიპყრეს ტელეეკრანი და რადიო, მიითვისეს საპარლამენტო გაზეთები. ზღაპრული პირობები შეიქმნეს და არც გრძელ-გრძელ ზღაპრებს აკლებდნენ მომავალ თაობას. საბედნიეროდ, პრეზიდენტის საერთგულოდ დადებული კონტრაქტი ერთ წელიწადში შეწყდა. მაგრამ, იქნებ, ვინმემ ისიც მოგვახსენოს, ამ ზეპირსიტყვიერებითა და პუბლიკაციებით დათრგუნვილ მოსახლეობას, რა მატერიალური მაჩვენებლებით გამოიხატება ეს „პრივილეგია“? მე პირადად მაინტერესებს ი. ტალიაშვილისა და გ. პეტრიაშვილის ამ პერიოდის საჰონორარო ფონდი საერთოდ და კერძოდ, საქართველოს რადიოს საჰონორარო ფონდის რა წილი მოდის ამ დუეტზე. იქნებ, ვისაც ეგების, შეავსოს მათი პორტრეტი პრეზიდენტისადმი „ერთგულების“ ამ მონაცემებით? მე კი ერთს დავუმატებდი — მორალური აქცენტის პოზიციიდან: რაღაც არ შემინიშნავს, რომ დიდ მეზღაპრე-ჰონორარისტ გ. პეტრიაშვილს თავის ფართოფორმატიან პუბლიკაციებზე თუნდაც ერთხელ გაეკეთებინა მინაწერი: ჰონორარი გადაირიცხოს ამა თუ იმ საქველმოქმედო მიზნისთვის.

• • •

> „ყველაზე ღრმა ნაკაწრებს დამალული ბრჭყალები ტოვებსო“.
>
> იაპონური ანდაზა

სწორედ დამალულმა ბრჭყალებმა ბევრი იარა დააჩნია საქართველოს, მათმა ნაკაწრებმა ბევრი სისხლი ადინა ქართველს. ახლაც გრძელდება ეს უბედურება, რაც ყველა ქართველს აწუხებს, ალბათ, ამ უბედურების რომელ მხარესაც არ უნდა იყოს იგი. ალბათ-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ ზუგდიდში ქართველის მიერ ქართველის ბარბაროსული „სისხლისწოვის“ ტელევიზიაში გადმოცემულმა კადრებმა ასეთი ბრჭყალების სიმრავლე დაგვანახა. ნუთუ ყველა მათგანი ბრმა იარაღია ყოფილი პრეზიდენტის ხელში? თუ ასეა, მათი შეგონება პირველ რიგში იმათი ვალია, მათ პოზიციაზე მდგომთ, ადრე თუ გვიან, სრულად თუ ნაწილობრივ მაინც რომ აეხილათ თვალი. და მაინც კვლავ არსებობს შანსი მათი შეგონებისა, და ამ უბედურებიდან საქართველოს დახსნისა. ეს შანსიც დაიკარგება, თუ ისე იქნება გამოყენებული, როგორც ეს ბატონმა ა. ასათიანმა გააკეთა თავის სატელევიზიო გამოსვლაში — პრინციპით — „არც შამფური, არც მწვადი“, საქართველო კი თუნდაც სულმთლად გადაბუგულა.

ბ-ნი ა. ასათიანი, ტელემაყურებლების „პირისპირ“ რომ წარსდგა, ხშირად ხმარობდა სიტყვა „გულწრფელობას“. არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ მე სწორედ ეს ვერ დავინახე მის პოზიციაში. იგი გულწრფელი რომ ყოფილიყო, ყოველ მეორე შეკითხვაზე ბოდიშის მოხდით უარს არ იკადრებდა. თანაც პრეზიდენტის შეცდომათა სიმრავლეში თავისი, დამთმობი თანამონაწილის მცირე წვლილს მაინც აღიარებდა.

ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში მან აღნიშნა, კადრების საკითხი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კომპეტენციაში არ შედისო. ორიდან ერთია: ან თავდაცვის ინსტინქტი აიძულებდა ასეთი აზრის დამკვიდრებას, ან გამიზნულად უნდოდა განკითხვისას ამოჰფარებოდა ქართულ ანდაზას: „არ ცოდნა — არ ცოდვააო“. თუმცა ამ რანგის ხელმძღვანელმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ პარლამენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის წევრთა დამტკიცება საზეიმო, ფორმალური აქტი არ გახლავთ. ცოდვა კი ის არის, რომ არც მან და არც უზენაესმა საბჭომ არ გამოიყენეს თავიანთი უფლება, უფრო სწორედ კი, ვერ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა და მათი ხელშეწყობით აღმოჩნდნენ უმაღლეს თანამდებობებზე არა მხოლოდ გამოუცდელნი (ეს ნაკლები ცოდვაა), არამედ უვიცნი და, ასე განსაჯეთ, ზოგი ყოფილი და ზოგი პოტენციური დამნაშავეც კი, რომლებმაც უმალ წარმოაჩინეს თავიანთი „შესაძლებლობანი“. გულწრფელობის პრეტენზია რომ აქვს ასეთი რანგის ხელმძღვანელს არა და არ გამოსდის მიზეზთა და მიზეზთა გამო, გულწრფელად უნდა ვუთხრა, რომ არა მხოლოდ პრეზიდენტის საქმიანობაში გამოვლენილ შეცდომებში თანამონაწილის როლი, არამედ სწორედ არაგულწრფელი პოზიცია და გვერდზე გადგომა იმ დროს, როცა ძველ უზენაეს საბჭოს შეეძლო ზოგიერთი შეცდომა გამოესყიდა და კანონიერი საფუძველი მიეცა ყველაფერ იმისათვის, რითაც შეიძლებოდა ზედმეტი სისხლის ღვრის აცილება, არ აძლევს მას მორალურ უფლებას ჰქონდეს პრეტენზია პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და მიიღოს მონაწილეობა მომავალ არჩევნებში — როგორც ეს თვით მას გადაუწყვეტია.

• • •

> „არც ერთ ავაზაკსა და დამნაშავეს ქვეყნად იმდენი ცოდვა არ დაუტრიალებია, იმდენი სისხლი არ დაუღვრია, რამდენიც იმათ, ვინც ესწრაფოდა კაცობრიობას მხსნელად მოვლინებოდა“.
>
> სიმონ ფრანკი.

ყველა ეს და სხვათა შენიშვნებიც მისაღები იქნებოდა, დროულადაც ითქმებოდა, ყოფილ პრეზიდენტს ჯანსაღი გარემოება რომ შეექმნა და ომი არ გამოეცხადებინა სიმართლისათვის. მხოლოდ ამას შეეძლო ეხსნა მისი ავტორიტეტიცა და ბედკრული საქართველოც. თუმცა ამას, როგორც მინიმუმი, ზ. გამსახურდიას საპირისპირო ბუნებისა და განსხვავებული ცხოვრებისეული პრაქტიკის პიროვნება შეძლებდა მხოლოდ — აბა, რა მოეთხოვება ადამიანს, რომელმაც თავისი გაპრეზიდენტების მეასე დღე (ამ დღეს ცივილიზებულ სამყაროში პრეზიდენტები ხალხის წინაშე გარკვეული ანგარიშით წარსდგებიან ხოლმე გაკეთებულისა და მომავალი ამოცანების შესახებ) — 2 სექტემბერი მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლით აღნიშნა. დაპროგრამებული დამთხვევების მოყვარულ ზ. გამსახურდიასათვის (გავიხსენოთ — რეფერენდუმი თავის დაბადების დღეს — 31 მარტს დაამთხვია; 9 აპრილი დამოუკიდებლობის დეკლარირების, ხოლო 26 მაისი პირველი პრეზიდენტის არჩევნების დღედ აქცია). ეს დამთხვევაც შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და ამით ისიც თქვა, თუ რას აპირებდა მომავალში. თქვა და შეასრულა კიდეც 22 სექტემბერს, 4-5 ოქტომბერს, დეკემბერ-იანვარში.

ისე, კაცი რომ ჩაუფიქრდეს, რამდენი მსგავსებაა 9 აპრილსა და 2 სექტემბერს შორის?! უმთავრესი კი დღეს დაუდგენელი განმკარგულებლები და უშუალო დამნაშავენი არიან. ნუთუ ვერ უნდა გაიგოს ბოლოს და ბოლოს ხალხმა ეს ორი სიმართლე? იქნებ ამან მაინც გაუხსნას თვალი იმათ, ვინც დღეს ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით (როგორც თავად განაცხადა საკავშირო ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში?!) თბილისსა და დასავლეთში მიმდინარე დაუმორჩილებლობის აქციებს ახორციელებს და სისხლით რწყავს საქართველოს მიწას. დიქტატორისა და დესპოტის პორტრეტს სრულსახეობას შესძენდა დაღუპულთა ის საშინელი ციფრი, რომელიც მისი სისხლიანი პოლიტიკის კონკრეტული მახასიათებელია შიდა ქართლიდან დაწყებული დღევანდლობამდე. გარდაცვლილებს რაღა ეშველება, მაგრამ იქნებ ეს სიმართლე ჩვენ ხალხს მაინც წაადგეს, ახლა მისი თანაავტორობით ჩვენსავე კვალს რომ დასდგომიან!

დასასრული. გაგრძელება იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 59, 60.

ჩვენდა საუბედუროდ ზ. გამსახურდიას თავისი ცოდვა-ბრალეულობა თან არ გაჰყოლია. მისი ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ იგი წარსული დროით არ შემოისაზღვრება, არამედ ჩვენს უახლოეს მომავალსაც დააკვალიანებს წინაღობებით აღსავსე ამ ურთულეს საცალფეხო ბილიკზე. ეს მან, მისმა ბუნებამ და პოლიტიკამ ალაზევა და გაბატონა დღევანდელ მდგომარეობაზე ყველა ის მანკიერებანი ჩვენი ხასიათისა, რაც მიმალული ან მიძინებული იყო. სხვა რა უნდა მივუელო ადამიანისაგან, რომელმაც არ იკმარა, რაც საქართველოს დაჰმართა, გრძნობს საკუთარი აღსასრულის მოახლოებას და ახალი ამოცანა ჩამოაყალიბა — „თუ მე დავიღუპები, — ჩემ ხალხთან ერთად!. ეს სხვა არაფერია, თუ არა საკუთარ თავში შეყვარებული პრეზიდენტის „კეთილი“ სურვილები „თავისი“ ხალხისადმი. რა შეიძლება ამას ეწოდოს — დამარცხებულის „ადამიანური სისუსტე“, თუ დაუოკებელი სურვილი ანგარიშსწორებისა? მაგრამ ვისთან? ნუთუ ძნელი შესაცნობია, რომ საქართველოში ძალთა თანაფარდობა პრეზიდენტის სასარგებლოდ აღარ არის. წამოწყებული რეგიონალური ავანტიურა უთუოდ დაანთავს მთელს საქართველოს, მაგრამ მასშტაბები გამსახურდიასეული პროგრამისა ვერ იქნება. საქართველო ვერც ერთი კაცისათვის ვერ დაიღუპება. მე პირადად ვერც ზ. გამსახურდიას უახლეს გარემოცვას გავიმეტებ სასიკვდილოდ — მისგან განსხვავებით, რადგან როცა იგი აცხადებს — „ჩემ ხალხთან ერთადო“ — საქმის რეალური ვითარებიდან გამომდინარე — მის თავზეხელაღებულ დამცველებს შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ.

ზ. გამსახურდიას მომხრეები დღესაც არ იჯერებენ ჭეშმარიტებას, რომ „ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის მართვა, სხვის სამართავად არ გამოდგება“ (უ. პენი). ამის მიზეზი თვით მისი უმართებულო თვითდაჯერებაა. მან კი, რესპუბლიკის უმეტესი მოსახლეობისა თუ არ სჯერა, საკუთარი მშრომელი მამის შეგონებას ხომ მაინც უნდა დაუჯეროს? ბატონი კონსტანტინე ბრძანებდა: „ვაჟკაცობაა, სინამდვილეს პირდაპირ შეხედოს კაცმა“. ეს უნდა გაიგონ ზვიადის მომხრეებმაც. მისი დაბრუნება აბსურდია. ის, რასაც ამ მიზნით მათი შეიარაღებული ნაწილი სჩადის, საქართველოს მიაქანებს მხოლოდ უფსკრულისაკენ.

ვითომ ეს არ იყო საკმარისი, რომ მეზობლებიც არ ჩაგვერია ამ საშინაო საქმეში. ლტოლვილ პრეზიდენტს სხვა წასასვლელი რომ არ აღმოაჩნდა, ჩეჩნეთს დამკვიდრდა — დუდაევსაც „ეხმარება“, საქართველოს ბედ-იღბლის პოლიტიკური ასპარეზიც იქ გადაიტანა და ყურადღებასაც არ გვაკლებს. „სესია“, რომელმაც თბილისშიც ვერ მოიპოვა უფლებამოსილება, ახლა გროზნოში შეკრიბა პრეზიდენტმა. ეს უგუნურების განწირული გაბრძოლებაა მხოლოდ, დრო მოვა, მოხერხდება აქა და იქ შეკრებილთა სიების შეპირისპირება. არ მინდა დავიჯერო, რომ ყოფილ პარლამენტში ადამიანთა მოდგმის ყველაზე საშიში კატეგორია — ორპირები ჭარბობდნენ.

ის კი მჯერა, რომ თბილისში შეკრებილთ ჩვენი სისხლით მორწყული დღევანდელობიდან მშვიდობიანი გამოსავლის ძებნა აერთიანებდათ; სავალალოა, რომ უშედეგოდ დასრულდა მათი ძალისხმევა.

ემიგრირებული ყოფილი პარლამენტის ყოფილ წევრებს ნუთუ არ აფიქრებთ, როგორ შეფასდება მათი როლი სამშობლოში დატრიალებულ სისხლის ღვარაში?! შორს არ არის განკითხვის ჟამი. თუ მათ „შინმოუსვლელთა ძეგლზე“ პრეტენზია არა აქვთ, ერისა და სამართლის წინაშე პასუხისმგებლობა არ ასცდებათ.

• • •

> **ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნეში სირიელი ექიმი სარაჯა ეუბნებოდა ავადმყოფს: ჩვენ სამნი ვართ — მე, შენ და ავადმყოფობა, თუ შენ ჩემს მხარეს იქნები, ჩვენ გაგვიადვილდება მისი დაძლევა.**

ეს საუკუნეებში ნაცადი ლოგიკური რეცეპტი ზედმიწევნით მორგებულია ჩვენში გამძვინვარებული სენის დასაძლევად. მხოლოდ შეკავშირება და ურთიერთგაგება გადაარჩენს საქართველოს. ამდენად, პირველ რიგში, გულწრფელნი უნდა ვიყოთ მომავლისაკენ მიმავალი ყველა ნაბიჯის შეფასებისას, რათა აღვკვეთოთ დაპირისპირების ყველა შესაძლო ფაქტორი.

საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამოსწორება უპირველესად მორალური საფუძვლების გაჯანსაღებას ითხოვს. საზოგადოების გზააბნეულ თუ მერყევ ნაწილს ყველაფერში სარწმუნოდ არ მიაჩნია დროებითი ხელისუფლების მოქმედება. ხედავენ რა მის შემადგენლობაში ყველა დროის „ერთგულ“ ხელმძღვანელებს, რომლებიც კომუნისტური წყობილების დროსაც არ გამოირჩეოდნენ ელემენტარული კეთილსინდისიერებით, ისეთებსაც ამჩნევენ, რომელთა დამსახურებებიც მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე ზ. გამსახურდიასადმი დაპირისპირებით შემოისაზღვრება. ვერც იმას გებულობენ, როცა ადრინდელი „ნამსახურეობის“ გაუთვალისწინებლად, თითქმის სიობრივი აღდგენა ხდება იმ ხელმძღვანელი მუშაკებისა, რომლებიც უკანასკნელი წლის მანძილზე იყვნენ გათავისუფლებული. ამიტომ ვერას გზით ვერ დაუძლევიათ ხელისუფლებისადმი უნდობლობის სინდრომი.

შეცდომები — ესეც თავისებური გამოცდილებაა. ამით მდიდარი იყო ზ. გამსახურდიას პერიოდი და უმჯობესია ეს გაკვეთილები გამოიყენოს დროებითმა მთავრობამ და „წაართვას“ უკმაყოფილო ხალხს უნიათო სიძველეების კოპირებისა და ახალი შეცდომების ხარჯზე წარსულთა გამართლების საშუალება.

დროებითი მთავრობა ძველ შეცდომებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა ებრძოდეს. ბოდიშის მოხდით ვიმეორებ ათასგზის ნათქვამ ჭეშმარიტებას, მაგრამ იგი ამჯერად უფრო რეალური ვითარების შეფასებაა.

კვლავაც უსასრულოდ მეორდება „მიმატება-გამოკლების“ თამაში სტრუქტურულ სისტემებში. არ ვიცი რა მოგვცა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის გაუთავებელმა შერწყმა-გაყოფამ, არადა, სხვა „ცვლილებებიც“ მიგვანიშნებენ, რომ ამ უძველეს სიახლეთა ავტორები (უკვე დღევანდელ ხელისუფლებაში) კვლავაც ავითარებენ თავიანთ შეზღუდულ „შემოქმედებით“ ფანტაზიას. ანდა როგორ დავიჯერო, რომ მთავრობის კაბინეტის ახალი შევსებაც ძველი ტრაფარეტებით ჭრის და კერავს. ორივე შემთხვევაში უგულებელყოფილია ელემენტარული არითმეტიკული ლოგიკა, რომ შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება და არც ერთი ამ ვარიანტთაგანი ჯერ ხელშესახებ ცვლილებებს არ გვპირდება.

საინტერესოა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს წალმა-უკულმა ექსპერიმენტი?

ან როდემდე გვინდა ბიუჯეტის ხარჯზე ვასაზრდოოთ უფუნქციოდ და გაბერილი შტატებით დარჩენილი ზოგიერთი სამინისტრო? ხალხს მაინც ძველ სტრუქტურებზე უფრო ცალკეული, მათში ფესვგადგმული ხელმძღვანელები აღიზიანებს. ამის საშუალება კი კვლავაც ძალაში რჩება, ვინაიდან ჯერაც ხშირად სტრუქტურა ესადაგება პიროვნებებს და არა პირიქით.

მორალურ ვითარებას მარადჟამს ამძიმებდა საკადრო შეცდომები. ასეთია დღევანდელი სინამდვილეც. როგორც თავად ზ. გამსახურდია აღიარებდა, კადრების შერჩევის ერთადერთ კრიტერიუმად მას პირადი ერთგულება მიაჩნდა. საოჯახო საკადრო „სამსახურის“ რეკომენდაციებით დაკომპლექტებულმა ხელისუფლებამ რა სიკეთეც მოუტანა საქართველოს — ეს უკვე წარსულშია.

ჩვენი მომავალი ამ წარსულთან მწყრალადაა. მაგრამ რას გვპირდება დღევანდელობა? ერთად-

(დასასრული მე-4 გვ.).

[illegible] ბიბლიოთეკის
და [illegible]
[illegible]

ამ დღეებში

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

სანთელი

ქარი კვლავ არხევს ნაცნობ ლელიანს

სამოცდამეათე გაზაფხულს შეეგებებოდა, უთუოდ აუყვებოდა მთაწმინდის ბილიკებს, აიმგზავრებდა მეგობარს, მოწაფეს, მამადავითიდან გადმოხედავდა თბილისს: გაზაფხული, პოეზია, მუსიკა...

ასეთი ხეირნობანი ყოვლისმომცველი, საინტერესო საუბრებით იყო აღსავსე. ზოგჯერ დუმილითაც „აიძულებდა“ თანამგზავრს ჩანაფიქრი გაემხილა, გული გაეხსნა. ურჩევდა, შეაგულიანებდა, საკუთარ აზრს შეაშველებდა, რასაც თან ერთვოდა მისი უზადო ადამიანური ხიბლი.

ოღონდაც გულს ეცლია...

გუშინ თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორის დავით თორაძის დაბადების დღე იყო და მის ოთახში, იქ, სადაც როიალს უჯდა, ისევ შეარხია ქარმა ნაცნობი ლელიანი, ისევ აფეთქდა გაზაფხულის ია და ვარდი... რვა წლისაა ეს ტრადიცია. ბატონ დავითის სიკვდილის შემდეგ, მეგობრებმა, ნამოწაფრებმა მოწიწებით შეაღეს ამ ოთახის კარები და სათუთად შეახეს თითები კლავიშებს, ის ხომ ჩინებული პიანისტიც იყო, ანასტასია ვირსალაძის აღზრდილი.

ტრადიცია ვახსენეთ. ჯერ კიდევ 60-იან წლებში დავით თორაძის ბინა თავისებური შეკრების ადგილი იყო მისი თაობის კომპოზიტორთათვის. იმათთვის, ვინც დღეს ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. აქ ბჭობის, აზრთა გაზიარებისა და საუბრების შედეგად იბადებოდა საუკეთესო მუსიკალური ოპუსები. მისმა თაობამ ახალი მუსიკალური ენა მოიტანა.

რით იზიდავდა ბატონი დავითი მეგობრებს? ალბათ იმით, რომ მას გავლილი ჰქონდა ბრწყინვალე საკომპოზიტორო სკოლა ჯერ თბილისის, შემდეგ მოსკოვის კონსერვატორიაში გლიერის კლასში, და ძიებისკენ ლტოლვა მისი მოწოდება იყო. ახალი ფორმების ძიება და სრულყოფილება ალიბეჭდა მის ქმნილებებში, საბალეტო ჟანრში, რომელიც ასერიგად უყვარდა, ყველაზე მეტად კი მის მეორე სიმფონიაში „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“.



თითქმის ყველა მუსიკალურ ჟანრს დაატყო თავისი ხელი — ოპერა („მთების ძახილი“, „ჩრდილოეთის პატარძალი“) თუ ბალეტი, („გორდა“, „მშვიდობისათვის“, „მწირი“) სიმფონია თუ მუსიკა კინოფილმებისათვის, საესტრადო სიმღერა...

პირველი დიდი წარმატება ბალეტმა „გორდამ“ მოუტანა, — მკაფიოდ გამორჩეული ეროვნული ხასიათით, მუსიკალური გააზრებით პროფესიული დონით, თანამედროვედ გაიჟღერებდა იგი დღეს ჩვენს სცენაზე, რადგან ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენას ქადაგებს, ასე რომ სჭირდება დღევანდელ საქართველოს.

სიმღერები ბევრი არ შეუქმნია, მაგრამ რაც დაგვიტოვა, სრულყოფილების ნიმუშია მუსიკალური ფორმის თვალსაზრისით, მელოდიურობით, მათ სიმღერებს კი არა, რომანსებს ვუწოდებდი, თავისებური პოეზიააო, — ამბობს კომპოზიტორი ალექსი შანიძე, მისი ერთ-ერთი ნამოწაფარი.

მეუღლემ, ქალბატონმა ლიანამ კარგად იცოდა მეუღლის ფასი. როცა მასშტაბურ ქმნილებებზე მუშაობდა ბატონი დავითი, იგი ცდილობდა ყოველმხრივ შეექმნა მშვიდი გარემო და არ დაერღვია მისი შემოქმედებითი განწყობილება. მან დიდი როლი შეასრულა, უწინარესად, ჯერ მეუღლის შემოქმედებით წარმატებებში, შემდეგ კი ვაჟიშვილის, ლექსოს, მსოფლიოში ამ ერთ-ერთი გამორჩეული პიანისტის აღზრდაში.

ბევრ ჩვენგანს ხშირად ამგზავრებია, ალბათ, ეს მელოდია და სტრიქონები „ქარი კვლავ არხევს ნაცნობ ლელიანს, და ბულბულები ისევ მღერიან,.. გზა მშვიდობისა, ველარ შევხვდებით... ამ სიმღერაში ერთდროულად იგრძნობა გაზაფხულის იმედიც და მოლოდინის სევდაც.

ოღონდაც გულს ეცლია...

ამბობენ, გული და შვილი ერთი და იგივეაო, შვილიშვილი კი თურმე თავად ხარ კაცი, შვილის გამოვლით...

და ასე არასდროს არ მივდივართ ჩვენიანებისგან — დავით თორაძე ახლა ამერიკაში ცხოვრობს. იგი სულ ოთხი თვისაა.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ზოგი ჭირი მარგებელია

(დასასრული)

ერთი ცვლილება ის არის, როგორც ბ-ნმა თ. სიგუამ განაცხადა, რომ კადრების შერჩევა ხდება პროფესიონალიზმის ნიშნით.

გვინდა კია ამდენი ექსპერიმენტი?

კადრების შერჩევა საძირკველთა საძირკველია სამართლებრივი დემოკრატიული საზოგადოების შენებისა და არ შეიძლება ერთგანზომილებიანი კრიტერიუმით წყდებოდეს. ჩვენი აზრით პროფესიონალიზმი რესპუბლიკის რანგის ხელმძღვანელთათვის (რომელთაც მინისტრთა კაბინეტი ამტკიცებს) აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. პროფესიონალს ერთგულებაც (საქმისადმი და არა რეკომენდატორ-ნათლიმამისადმი) და პატიოსნებაც უნდა აძლევდეს ხელმძღვანელობის მორალურ უფლებას, თორემ ხალხმა კარგად იცის პატიოსნებთან ოპოზიციაში მდგომი მაფია თავის რიგებში საუკეთესო პროფესიონალებსაც აერთიანებს.

დღეს თავს ვერავინ იმართლებს ზვიადისეული არგუმენტით, როცა საკადრო შეცდომები იმით მართლდებოდა, ვითომდა კომუნისტური წყობილების 70-წლიანმა ბატონობამ შეუბღალავი კადრები აღარ დატოვა. უბრალოდ, ზ. გამსახურდია გრძნობდა პირადი ერთგულების ნიშნით კადრების შერჩევის უმართებულობას და, ამ არგუმენტს ამოფარებული, „მრგვალების“ საგანძურში ეძებდა კადრებს. თავისიანებმა კი ისეთი საქმე უქნეს, სხვა ვერავინ რომ გაუბედავდა. ყოფილმა პრეზიდენტმა ბოლომდე ვერ შეიგნო ორი ჭეშმარიტება: რომ ხელმძღვანელისთვის ქვეშევრდომის ყველაზე დიდი ერთგულება მისი საქმიანი თვისებები და საქმისადმი ერთგულებაა, და არავითარი სხვა თანამდებობრივი ერთგულება ნაღდი არ არის; თანამდებობა პატიოსანმა ხელმძღვანელმა არც „მეგობრების წრის“ გასაფართოებლად უნდა გამოიყენოს და არც მეგობრების გასათანამდებობრივებლად.

ანალოგიური შეცდომებისაგან არც დღეს ვართ დაზღვეული. როგორც არ უნდა შეფასდეს საკადრო ცვლილებების დინამიკა, ყველა იმ სამოცდაათწლიანი „სკოლის“ აღზრდილები ვართ, ოღონდ იმ განსხვავებით, ვინ რა „ავ-კარგი“ გამოიტანა იქიდან მორალური თუ მატერიალური „მარაგის“ სახით. არადა ისეთი დრო მოდის, რომ საბაზრო ეკონომიკა ხდება ჩვენი ცხოვრების არბიტრი. არა მგონია, „მისგან გასწორდეს ყოველი“. ბაზარი იმათი ასპარეზია, ვისაც პირველზე მეტი მეორე აქვს, ოღონდ საკადრო პოლიტიკის „გაბაზრება“ არ ივარგებს.

დიქტატორი დამხობილია საქართველოსთვის თავდადებული მრავალი ადამიანის თავგანწირვის შედეგად. ამ ვაჟკაცების გმირობას დაფასებაც სათანადო სჭირდება, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს საქვეყნო საქმის ინტერესებს უნდა ესადაგებოდეს და მათთვის უხერხულობასაც უნდა გამორიცხავდეს. სხვაგვარი შრომა-მოწყობის პრინციპი არც მოსაწყობს და არც შრომას წაადგება, კვლავაც მომრავლდება საქმისადმი შეუფერებელთა ერთობა, არც ამაგის დაფასება გამოგვივა და ახლახან დამარცხებული „ძმაკაცების რესპუბლიკის“ ახალ ვარიანტს მივიღებთ.

• • •

„ხემ თქვა, ნაჯახი ვერაფერს მიზამდა, ხის ტარი რომ არ ჰქონდესო“
ქართული ანდაზა

ახლა, როცა საქართველო დემოკრატიის გზას შეუდგა, ზოგიერთ არსებით მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

დემოკრატიული საზოგადოება ცივილიზებული სახელმწიფოს მორალური გვირგვინია, დემოკრატია კი თავად არის საზოგადოების მორალური დონის მრავლისმომცველი მაჩვენებელი. თუმცა დემოკრატიის მაღალი დონის უპირველესი გარანტი საზოგადოების მაღალი მორალური საფუძვლებია, ასე რომ, დემოკრატია არ არსებობს მორალური ასპექტის გარეშე. იგი უნდა იყოს დემოკრატიის საფუძველიცა და შედეგიც.

დემოკრატიზაცია, როგორც საზოგადოების განვითარების პროცესი, შელახული მორალური ფონის ვითარებაში არამდგრადი, არასტაბილური გზით ვითარდება. ამ შემთხვევაში დემოკრატია, როგორც საზოგადოების სუბიექტთა შორის ურთიერთობის რეჟიმი, ადვილად სახეცვლილებად, უგარანტიო ხასიათს იღებს და ამუხრუჭებს მის განვითარებას.

ჩვენში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა ავიტამინოზით დაავადებულ ნიადაგზე იწყება. სამოცდაათწლიანი ცხოვრების წესთან ერთად აქ დამთრგუნავი როლი გამსახურდიასეულმა ავტორიტარულმა რეჟიმმაც შეასრულა. ჩემი დაკვირვებით უკანასკნელი სამი წლის მანძილზე განსხვავებული აზრისათვის არსად იმდენი ხალხი არ დაუპატიმრებიათ და სისხლი დაუღვრიათ, რამდენიც ჩვენთან. ეს ანტიდემოკრატიული სტატისტიკა პირველობასაც კი გვპირდება სამყაროში. ეს ერ- [illegible]

დემოკრატიის მორალურ საფუძვლებში, ჩემი აზრით, არსებითია საზოგადოების თითოეული წევრის — ინდივიდის მორალური უფლებამოსილება აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში. არადა, მედროვეებმა წაგვლეკეს. ისინი პოლიტიკოსებშიც არიან და პუბლიცისტებშიც, რომელთაც მორალური გადახრები დემოკრატიულ აქტივობაში ეთვლებოდათ და ეთვლებათ რატომღაც?! ამ თვალსაზრისით დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის შესატყვის, თავისი არსით ორიოდე ნიშანდობლივ მაგალითს მოვიტან, სადაც მორალური უფლება ცალკეულ პირთა უპირატესობად კი არ მესახება, არამედ მათ „დახასიათებას“ კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს.

„მრგვალი მაგიდიდან“ მოსულ პოლიტიკოსთა შორის ბ-ნ გ. ხოშტარიას შესამჩნევმა სახელმაც გაიელვა. პირადად მე იგი ორი მომენტის გამო დამამახსოვრდა. ჯერ იყო და საგარეო საქმეთა მინისტრად მისი დანიშვნის სამსახურად თავისი ნათლიმამის ზ. გამსახურდიას ქებათა ქებას და მისივე გულის საამებლად ბ-ნ ე. შევარდნაძის ლანძღვა-გინებას მოჰყვა. მერე, თანამდებობის დატოვების შემდეგ, მისამართები გადაანაცვლა: გაზხარული ნდობის პასუხად თავისი კერპის გაცამტვერებასა და მის გულსატკენად ბ-ნ ე. შევარდნაძის ქებას მოჰკიდა ხელი. ყოველივე ეს ეპიზოდია, თუმცა ადამიანის დამახასიათებელი, მაგრამ მაინც ეპიზოდია მით უმეტეს, რომ ასეთი შეცდომა ბევრ სხვასაც მოუვიდა, უფრო— დიდსაც და პატარასაც. საქმე ის არის, რომ ეპიზოდი ეპიზოდს ემატება და ჩვენს წარმოდგენაში ადამიანის სახეს აკოწიწებს. ამიტომაც მახსენდება გ. ხოშტარიას გახმაურებული ურთიერთობა მის ყოფილ თანაშემწესთან. ზედმეტი პატივია აქ ვინმე ს. ჯაჯანიძის მოხსენიება (მან სახელი იმით გაითქვა, რომ გადამდგარი „მისი“ მინისტრის უფრო დასაცავად ლაფში ამოსვარა გამსახურდიების მთელი ოჯახი, მერე თავის იდეურ მამას მიჰბაძა — ოპერატიულად შეიცვალა პოზიცია, სიტყვას საქმე მოაყოლა და „ზვიადისტთა“ ავანგარდში დაიმკვიდრა ადგილი), მაგრამ ბოლო ხანს მომრავლდნენ ჯაჯანიძეები და უხსენებლის ხსენებაც იმიტომ დაგვჭირდა, რომ ხალხმა გაიგოს: ასეთ „სპეციალისტებს“ არც ერთი სკოლა არ ამზადებს, ისინი „კეთილსასურველი“ კლიმატური გარემოცვის პროდუქტები არიან მხოლოდ.

დროისცვალებით გამოწვეული ფერისცვალება ზედმიწევნითი სიზუსტით ძერწავს მედროვეთა პორტრეტებს. ჩემში ყოველთვის უნდობლობას იწვევდა მრწამსის მრავალსახეობით გამორჩეული ადამიანები და გაუგებრობას, იმ ხელმძღვანელთა პოზიცია, რომლებიც ასეთი გარემოცვით ხალხისაგან „გასხვისების ზონას“ ქმნიდნენ თავის გარშემო. ერთში კი მტკიცედ ვარ დარწმუნებული — ჩვენს დღევანდელ უმძიმეს მორალურ ვითარებაში ყველაზე საშიში ზემდგომისადმი ბრმად „მომსახურე პოლიტიკოსები“ არიან — ადამიანთა მოდგმის უმდაბლესი ფენა, რომელიც ამასთან ორპირობითაც გამოირჩევა.

ნამდვილად თვალშისაცემია, რომ დღეს მედროვეთა მთელი კასტა ჩამოყალიბდა, რომლებიც შესანიშნავად უღებენ ალღოს დროის მიმდინარეობას — ხელისუფლებაში მომხდარ ყოველ ცვლილებას ოპერატიულად და ერთნაირი ერთგულებით ემსახურებიან: წასულთა დაუნდობელი კრიტიკისა და ახალმოსულთა შემპარავი ქების მეშვეობით სამარადჟამოდ ინარჩუნებენ ხელისუფლების ორბიტაზე შემხებ პოზიციას. არადა, როცა უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსის ჰ. ჭიპაშვილის და პოლიტოლოგ ვ. რჩეულიშვილის უკანასკნელი გამოსვლები ვიხილე ტელევიზიით, — ზოგიერთი ადრინდელიც გამახსენდა, — სხვებისა არ ვიცი, მაგრამ პირადად ჩემში ამან სიბრალულისა და სირცხვილის გრძნობები გააერთიანა. და კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ „დიპლომატიით“ გაჟღენთილი დემოკრატიისაგან ჩვენ არაფერს კარგს არ უნდა ველოდეთ, მხოლოდ პირიქით.

უბედურება დაატყდა თავს საქართველოს. მაგრამ, როგორც ამბობენ, არც უბედურება არსებობს უსიკეთოდ. გასული წლის ერთადერთი დადებითი ნიშანი იმით გამოიხატა, რომ იგი მორალური თვალსაზრისით, წამგებიანი გამოდგა მედროვეთათვის, რადგან ლაკმუსის როლი იკისრა და გამოაშკარავა, თუ ვინ ვინ არის! სისხლად და ცრემლად დაგვიჯდა ეს გამჟღავნება და მისი გაუთვალისწინებლობა დიდი ცოდვა იქნებოდა.

დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა ურთულესი საქმეა. ახლა, როცა საფუძველი ეყრება საძირკველს (პრინციპების გააშკარავება, სათანადო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, სამართლებრივი საფუძვლების დამუშავება), ამთავითვე საფიქრებელია. თავად სამშენებლო მასალის ხარისხი, არც ერთი არათუ სახელგატეხილი, არამედ მორალურბზარიანი აგური არ უნდა ჩაიდოს მის კონსტრუქციაში, თორემ ზეძირკველი „დატვირთვებს“ ვერ გაუძლებს და მერამდენედ ჩაინგრევა ქართველი კაცის ოცნების ეს სასახლე.

ღმერთმა დაგვიფაროს!

ოთარ მელაძე.

[illegible]

აქ რობაქიძის მუზეუმი უნდა იყოს

ღია წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ გურამ ფანჯიკიძეს

ბატონო გურამ,

თქვენ, შეუძლებელია არ იცოდეთ, რომ თბილისში, ვერაზე, კოტე მაყაშვილის სახელობის მყუდრო ქუჩაზე დგას თავისი არქიტექტურით მარტო ამ უბანში კი არა, ალბათ მთელ თბილისში გამორჩეული შენობა, რომელიც ადრე დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის საცხოვრებელი სახლი ყოფილა. სწორედ ამ სახლიდან წასულა სამუდამოდ უცხოეთში ქართული სიტყვის დიდოსტატი.

ბატონო გურამ, რახან იმას მოვესწარით, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელი და შემოქმედება საქართველოს დაუბრუნდა, რახან, როგორც ეტყობა, ჩვენი სამშობლო მთლად განწირული არ ყოფილა — სრული თავისუფლებისაკენ ერის სწრაფვას უკვე სიბრძნე და გონიერება წარმართავს — რაც გვაფიქრებინებს, რომ ფასი დაედება ერის რჩეულ შვილებს — წინაპარსაც და თანამედროვესაც, **— იქნებ ეფიქრა საქართველოს მწერალთა კავშირს, რომ კოტე მაყაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობაში გახსნილიყო გრიგოლ რობაქიძის სახლ-მუზეუმი, გნებავთ, ქართული ემიგრაციის მუზეუმი.**

გარდა იმისა, რომ ამ სახლ-მუზეუმში თავს მოიყრის გრიგოლ რობაქიძისა და სხვა ქართველი ემიგრანტების მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, სახლი შეიძლება გადაიქცეს ქართული კულტურის მძლავრ კერად, ჩვენი მწერლების, საერთოდ, ინტელიგენციის შეხვედრების, სჯა-ბაასის სახიამოვნო ადგილად, ანუ აღორძინდეს ის შესანიშნავი ტრადიცია, რაც, ოციან წლებში, თურმე აქ არსებობდა.

თუმცა, ამ საქმის ხორცშესხმა, არც ისე ადვილია, რამეთუ, რობაქიძისეულ ბინაში, დღესდღეობით, უკვე სხვა ადამიანები ცხოვრობენ (როგორც გავიგეთ, ერთი — ექვსშვილიანი ქართული ოჯახიც ყოფილა, ღმერთმა ამრავლოს!). ამ ხალხის იქიდან გამოსახლება და შესაფერის ადგილზე შესაფერისი ბინით (თუ ბინებით) დაკმაყოფილება კი, მოგეხსენებათ, რა ძნელია (მეტადრე დღევანდელ პირობებში). ოღონდ, შეუძლებელი არაფერია, თუკი მხარეები (მწერალთა კავშირი, რესპუბლიკის მთავრობა, ქალაქის მერია და სახლის მობინადრენი) გულმხურვალედ მოეკიდებიან ყოველივეს. გვჯერა, მწერალთა კავშირის, ეროვნული ღირებულებებისადმი რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფლების უსათუთესი დამოკიდებულების და ქართველი კაცის შემართების მეოხებით, ეს მნიშვნელოვანი საკითხი დადებითად გადაწყდება, რითაც უთუოდ მადლიერი დაგვრჩება ჩვენი მომავალი თაობა — თავისუფალი საქართველოს ხვალინდელი დღე.

პატივისცემით

ვილენ მარდალეიშვილი.

ეს ჩვენი საქართველოა!



1991 წლის აპრილი... სიმწრით მოსაგონარია გაზაფხულის ის დღე ზემო იმერეთის და რაჭის მკვიდრთათვის, დღე, როდესაც მიწისძვრის შედეგად დაინგრა და დაიქცა მამაპაპისეული სოფლები და ციხე-ტაძრები. ხახიეთი კი გველეშაპივით შთანთქა მიწამ... გადარჩა ორი ყმაწვილი, ორი იმედი...

დგანან სასოწარკვეთილნი ნასახლარზე და ვერაფერს ცნობენ გარშემო, გარდა მთებისა. ნაცარტუტად ქცეულა ყოველი, ცრემლად ამოდუღებულა გუბე.

თანამოძმეებთან ერთად ნაადრევად ამ ორმა ყმაწვილმაც უნდა იტვირთოს სოფლის აღორძინება.

თამაზ ბიბილურის ფოტო.

მამულო ჩემო...

საუკუნეთა იდუმალების მიღმა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი 1989 წელს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების „მიკროფიშების“ გამოცემის მიზნით ჰოლანდიის საერთაშორისო დოკუმენტაციის „იდც“ კომპანიას დაუკავშირდა.

„იდც“ კომპანია რვატომეულის გამოცემაზე უკვე შეუდგა მუშაობას. თითოეულ ტომში ორასამდე ძეგლი იქნება „მიკროფიშირებული“. დაინტერესებულ საზოგადოებრიობას საშუალება ექნება შვიდი ათასამდე ანაბეჭდით ინგლისურ ენაზე გაეცნოს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გრაფიკულ მასალას, მათ ისტორიას, ადგილმდებარეობას, არქიტექტურას და ა. შ. უკვე მზადდება კრებულის შესავალი.

ჩვენ შევხვდით ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს ბატონ ნოდარ ჯანბერიძეს, ინსტიტუტის ძეგლთა აღნუსხვის განყოფილების გამგეს ბატონ თამაზ დვალსა და ქალაქ აახენის ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტს ბატონ გუნდოლფ ბრუხჰაუზს.

— ბატონო ნოდარ, გთხოვთ გვითხრათ, საერთაშორისო თვალსაზრისით თუ რა მისია აკისრია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების „მიკროფიშებას“?

— ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების შესწავლისა და მისი პროპაგანდისთვის თავისთავად ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. მიკროფიშებით შესაძლებლობა იქმნება მსოფლიოს დაინტერესებული მეცნიერები ახლოს გაეცნონ ქართული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და მის ცალკეულ უნიკალურ ნიმუშებს.

„მიკროფიში“ — ეს გახლავთ საფოსტო ღია ბარათის ზომის გამჭვირვალე თხელი პლატიკური დიაპოზიტივი, რომელიც თანაბარი სიდიდის 60 ცალ უჯრედად არის დაყოფილი. უჯრედებში მოთავსებულია ძეგლის წერილობითი, გრაფიკული მასალის და ნატურიდან შესრულებული ფოტოების დიაპოზიტიური გამოსახულებები. აქვეა მითითებული ძეგლის გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც.

— თავიდან ხომ არ გაჭირდა კომპანიასთან ურთიერთობის დამყარება... იქნებ ისიც გვითხრათ, როდის გამოვა პირველი ტომი?

— მოგეხსენებათ, ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმას სიძნელეებიც ახლავს. ამჟამად ეს დაძლეულია და „იდც“ კომპანია — თვითონვეა დაინტერესებული წიგნის გამოცემის დაჩქარებით. სარეკლამოდ უკვე გამოიცა ერთი საცდელი „მიკროფიში“, რომლის საფუძველზეც კომპანიამ გამოცემამდე რამდენიმე ათეული შეკვეთა უკვე მიიღო.

„მიკროფიშების“ შედგენაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს მსოფლიოს ცნობილმა მეცნიერებმა, მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ადრიანო ალპაგო ნოველომ, ფრანგმა მეცნიერებმა ჟან მიშელ და ნიკოლ ტიერებმა, ამერიკელმა ფარსეგიანმა და სხვებმა.

— ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების „მიკროფიშების“ კრებულის შექმნის წამომწყები და პოპულიზატორი ბატონი გუნდოლფ ბრუხჰაუზი ხშირად ჩამოდის ჩვენთან, გვითხრა ინსტიტუტის ძეგლთა აღნუსხვის განყოფილების გამგემ თამაზ დვალმა — იგი ქართული კულტურის თაყვანისმცემელი და ჩვენი ხალხის მეგობარია.

— ბატონო გუნდოლფ, რით არის განპირობებული თქვენი დაინტერესება ქართული კულტურით, ქართული ძეგლებით? — ასეთი კითხვით მივმართეთ შეხვედრისას.

— მინდა ვაღიარო, განაცხადა მან, — რომ უპირველესად მაინტერესებს ქრისტიანობამდელი ხანის ხელოვნება, რომელმაც საფუძველი შეუქმნა მდიდარ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას. მაინტერესებს ამა თუ იმ ხუროთმოძღვრული ფუძის საწყისი. კვლევისთვის მდიდარ მასალას გვაძლევს ქრისტიანული აღმოსავლეთი. საგანგებოდ მინდა გამოვყო კავკასიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, კერძოდ საქართველო და სომხეთი. ამ ორ ერს საუკუნეების მანძილზე ბრძოლით უხდებოდა თავის გადარჩენა. დამპყრობელი, რა თქმა უნდა, მართალია ადგილობრივ კულტურას თავის კვალს აჩნევდა, მაგრამ ამ ორმა ერმა გასაოცრად შეინარჩუნეს თავისი თვითმყოფადობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიუხედავად საქართველოს და სომხეთის უშუალო მეზობლობისა და ისტორიული ურთიერთობისა, ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული კულტურისა და ხუროთმოძღვრების მემკვიდრენი არიან.

ეროვნულ ძირძველ ფესვებს მრავალი განშტოება აქვს, რომელიც საუკუნეობით ვითარდებოდა; ქართველები სხვა ხალხებთან ურთიერთობაში ქმნიდნენ დამოუკიდებელ ხუროთმოძღვრებას. ქართულმა ძეგლებმა თვითმყოფადობა და ქართული სული ბოლომდე შეინარჩუნა. ჩვენი მიზანია „მიკროფიშების“ საშუალებით მეცნიერებს შევუქმნათ პირობები, რომ უამრავი მასალის საფუძველზე გამოავლინონ, ამოიცნონ და გააანალიზონ სხვადასხვა ერის მიერ შექმნილი არქიტექტურული კულტურის ელემენტები.

აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ. ახლახან საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის წიგნი გამოვიდა. მე გამაოცა ინსტიტუტის ძეგლთა აღნუსხვის განყოფილების ხელმძღვანელის ბატონ თამაზ დვალის ენერგიულმა და თავდადებულმა მუშაობამ.

ერი, რომელსაც შეუძლია ასეთი წიგნის გამოცემა, ჩვენი შემდგომი მუშაობისთვის დიდ იმედსა და გარანტიას გვაძლევს. იგი საუკეთესო პარტნიორი იქნება.

დასასრულს, მსურს ჩემს კოლეგებსა და შესანიშნავ ქართველ ხალხს ვუსურვო წარმატებები მუშაობაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში. მწამს, დიდი კულტურის მქონე ქართველი ხალხი მალე მსოფლიოს ქვეყნების ყურადღების ცენტრში იქნება.

გისურვებთ წარმატებებს.

ცისანა სიხარულიძე.

სურათზე: თამაზ დვალი, ნოდარ ჯანბერიძე და გუნდოლფ ბრუხჰაუზი მუშაობის დროს.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

საინჟინრო აკადემიის კრებამ აირჩია

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოში მოხდა საინჟინრო აკადემიის დაფუძნება და მისი პირველი ნამდვილი წევრების არჩევა.

გაიმართა ახლადდაარსებული საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრების კრება. კრებამ აკადემიის პირველ პრეზიდენტად აირჩია საერთაშორისო საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ივერი ფრანგიშვილი, საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებად: საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან მახვილაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი კარლო თაბუკაშვილი და კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ჯანელიძე.

აკადემიის სწავლულ მდივნად კრებამ აირჩია ინფორმატიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გენერალური დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვანო გორგიძე.

კრებამ ერთხმად აირჩია აგრეთვე საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო პრეზიდენტად მხცოვანი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი გიორგი ზარიძე.

გადაწყდა მომავალი არჩევნები, რომელიც შეავსებს აკადემიის სტრუქტურას, ჩატარდეს მიმდინარე წლის ივლისის თვეში.

მარატ ღვალაძე.

გამოსათხოვარი



შოთა ღვინიანიძე

ქართველ ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, პერსონალური პენსიონერი შოთა ვიქტორის ძე ღვინიანიძე.

შ. ღვინიანიძე დაიბადა 1920 წლის 15 მაისს. მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველი დღიდანვე იყო მოქმედ არმიაში. სამხედრო სამსახური გააგრძელა ომის შემდეგაც. სამშობლოში დაბრუნდა 1948 წელს, დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1952 წლიდან შ. ღვინიანიძე მუშაობდა ჯერ ქუთაისის საოლქო გაზეთში, შემდეგ საავტომობილო ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად. 1957 წლიდან 1964 წლამდე იყო პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე. 1964 წლიდან 1991 წლამდე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარი კორესპონდენტია, ბოლო ერთი წელი — ამავე გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი იყო.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი ჟურნალისტი, განათლებული, გულისხმიერი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს.

საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირი.

რეკლამა რეკლამა

ბავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,
ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „ბავაზი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „ბავაზს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „ბავაზი“ თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

ღვთისშვილთა
კავშირის
წევრთა
საყურადღებოდ

ა. წ. 22 აპრილს, ოთხშაბათს, 18 საათზე, ღვთისშვილთა კავშირის რეზიდენციაში (თბილისი, აკ. წერეთლის, 144) გაიმართება ღვთისშვილთა კავშირის საერთო პარტიული კონფერენცია და რეგიონულ ორგანიზაციათა თავმჯდომარეების თათბირი. დასწრება სავალდებულოა. რეგისტრაცია დაიწყება 11 საათიდან.

ღვთისშვილთა კავშირის პრეს-ცენტრი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

[illegible] ქ. № 14. ტელეფონები: [illegible] 99-92-26; [illegible] 99-73-24. [illegible] № 20. შეკვეთა 6464.